№ 47

ხუთშაბათი, 7 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 47

ხუთშაბათი, 7 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

განცხადება.

ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წ. 24 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის რვა საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე**. ამასთანავე, დადგენილია **ყველასათვის სავალდებულოდ შემდეგი წეს-რიგი**: ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ-დაუწევლად და, გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ **ს. ი. ფორაქაშვილსა და ს. გ. ფარეშოვს**, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭართაგან.

(5—3)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

ხუთშაბათს, 7 აპრილს, პირუტყვთა მფარ. ტფილ. საზოგ. სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართება 3 განყოფილებად. სხვათა შორის, სამი კავკასიური ჭიდაობაც იქნება. პირველად კავკასიურად დაეჭიდება ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** ცნობილ ფალავან **ალექსი ხიჩემელს**. ჯილდო ვერცხლის საათი. მეორედ ცნობილი ჰერკულესი-ფალავანი **რომო** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **იოსებ ფიცხელაურს**. ჯილდო ვერცხლის საათი. მესამედ იჭიდავებენ მთელს ქვეყნიერობაზე უუპატარავესი მოჭიდავენი **არტური და ალექსანდრე**. მესამე განყოფილების შემდეგ გაიმართება კომიკური პანტომიმა-ბალეტი. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 ½ საათზედ. შემდეგი წარმოდგენა უკანასკნელი იქნება.

1—1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯაჯანაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9 ½—10 ½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12 ½ 1 ½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1 ½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1 ½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1 ½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Фл.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-ექმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ავტონომია და მშრომელი ხალხის ინტერესები.

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია მ. ვ. მაჩაბლის წერილი, რომელშიაც ავტორი ამბობს, რომ „ივერიის“ „ანგარიში“ თავად-აზნაურთა კრების შესახებ სწორე არ იყო და ამიტომ ჩემი სიტყვები, რომელიც მე იმ კრებაზე ვთქვი, სისწორით არაა აღნიშნულიო.

რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მას ის აზრები და სიტყვება არ მიაწერონ, რომელიც არ უსაქვამს ან რომლის მომხრეც არა. ამიტომაც ადგილი დავუთმეთ ბ-ნ მ. მაჩაბლის წერილს. რომ არ დაგვებეჭდა, უეჭველია, ავტორი მთელს ქვეყანას ყურებს გამოუჭედდა,—„ივერიამ“ ყალბი აზრები მომაწერა და წერილი რომ გავუგზავნე და გასწორება ვსთხოვე,—არ დაბეჭდაო.

დავბეჭდეთ მისი წერილი და ახლა მკითხველს ვთხოვთ, დაუკვირდეს და ნახოს, თუ რას „ასწორებს“ ბ-ნი მ. მაჩაბელი. ჩვენს „ანგარიშში“ ეწერა:

„მ. ვ. მაჩაბელი თავის გრძელ სიტყვაში ამტკიცებდა, რომ ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება რუსის ხალხის სურვილსაო. ჩვენ და რუსის ხალხი ერთად ვიტანჯებოდით, ერთს ტაფაში ვიწოდით და ეხლა, როცა მოგვეცა ჩვენ ხმის ამაღლების ნება, რუსის ხალხს ვეუბნებით: თქვენთან არავითარი ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისო. ამას რუსის ხალხი არ მოგვიწონებსო“.

ბ-ნი მ. ვ. მაჩაბელი ამ სიტყვების გამო სიყალბეს გვწამებს და მისი ნათქვამის გადამახინჯებას გვაბრალებს. თვითონ გვისწორებს დაბეჭდილს და იცით, როგორ? საკვირველია, მაგრამ მისგან ამას ნუ გაიკვირვებთ: თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა და რასაც თვითონ სიყალბეს ეძახდა. გთხოვთ წაიკითხოთ. მე ვთქვიო, — სწერს ბ-ნი მ. ვ. მაჩაბელი,—რომ

„ჩვენ არ გვაპატიებს ამისთანა საქციელს (ე. ი. ავტონომიის მოთხოვნას) რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილი, რომლის წყალობით ასეთი მამაცნი შევიქენით. მხოლოდ რუსეთის ერის ძლიერმა ხმამ ჩვენც ხმა ამოგვაღებინა და თქვენ ეხლა რუსეთის საუკეთესო ნაწილს ეუბნებით: თქვენთან არავითარი ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისო, ჩვენ ავტონომისტები ვართო“.

დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ დარწმუნდეთ,—ყოფილა ჩვენს გაზეთში ბ-ნ მაჩაბლის აზრი გადამახინჯებულად დაბეჭდილი, თუ არა... ბ-ნმა მაჩაბელმა ცოტათი გრძელი ლაპარაკი იცის და ჩვენ, რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვით ვერ აღვნიშნავდით მის ნათქვამს. დედა-აზრი კი, როგორც ხედავთ, სისწორით, ე. ი. მის მიერ ნამდვილად ნათქვამთან შეთანხმებულად ყოფილა ჩვენს გაზეთში გადმოცემული.

ბ-ნი მაჩაბელი პრინციპიალურ საკითხებს თურმე იმის კვალობაზე სწყვეტს, თუ რას გვეტყვის ამის შესახებ რუსეთის „საზოგადოება“. „ას წელიწადზე მეტიაო,—გვეუბნება ის,—რაც ვეფიცებოდით ერთგულებას ხელმწიფეს და რუსეთის ერსო“. ჩვენი მოვალეობაა, „ხალხს ხელმწიფე დავუახლოვოთო“ და ამიტომ, თუ ავტონომიურ თვითმართველობის პრინციპს დავადგებით, „რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილი“ ამას არ მოგვიწონებს და „არ გვაპატიებსო“.

ჩვენ ამ საგნის გარკვევას ვეღარ გამოვუდგებით და აღვნიშნავთ ერთ აზრს, რომელიც ბ-ნ მ. მაჩაბელს გაკვრით აქვს ნახსენები.

„ჩვენი მტერიო,—სწერს ბ-ნი მ. მაჩაბელი,—ადვილად ჩააგონებს ხალხს, რომ ავტონომიით თავად-აზნაურობას ბატონ-ყმობის წეს-წყობილების დაბრუნება სურსო“.

რასაკვირველია, ყველაფრის თქმა შეიძლება. შეიძლება ისიც, რომ განათლებულ თავად-აზნაურებშიაც იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ბატონყმურ წეს-წყობილებას შესტრფიან. მაგრამ ლაპარაკი ამაზე კი არ იყო გამართული, არამედ იმ დაწერილ ადრესზე, რომელიც კრებას ჰქონდა წარდგენილი. ამ ადრესში კი ის მოთხოვნაა გამოცხადებული, რომ ხალხის წარმომადგენლები პირდაპირისა, ფარულის და ყველასათვის თანასწორის საარჩევნო უფლების საფუძვლით იქმნენ მიწვეულნი. მაშასადამე, რაკი ყველას თანასწორი უფლება ეძლევა, მეტი და უადგილო იმაზე ლაპარაკი, რომ ამგვარის მოთხოვნით ვინმე მშრომელ ხალხის დაბეჩავებასა და დამონავებას ცდილობსო.

ქართველი ხალხი ისე შეუგნებელი აღარ არის, რომ მას არ ესმოდეს, არის თუ არა მისთვის სასარგებლო თავისუფალი, დამოუკიდებელი თვით-მართველობა, რომელიც საყოველთაო დემოკრატიულ საფუძველზე უნდა იქმნეს დამყარებული. მას კარგად ესმის, რომ მუშა, გლეხი, ნოქარი, ქარგალ-ხელოსანი—საზოგადოდ ყველა ის ელემენტები, რომელნიც მშრომელ ხალხს შეადგენენ, უკეთ დაიცავენ თავის ინტერესებს და მუდამ უფრო ადვილად გაიუმჯობესებენ თავის მდგომარეობას ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიის ფარგალში, ვიდრე უზარმაზარ რუსეთის მთლიან საკონსტიტუციო სახელმწიფოში, სადაც ბევრ ადგილას მუშა-ხალხი გონებრივს ძილშია, ჯერაც არ გამოღვიძებულა და თვითცნობიერების მხრით ჩვენს ხალხს დაახლოვებითაც კი ვერ შეედრება; სადაც ბურჟუაზია, ჩვენებურთან შედარებით მრავალ-რიცხოვანი და ღონიერია და, მაშასადამე, უფრო ძნელი დასაძლევიცაა... ყოველგვარი რეფორმა და ცხოვრების გაუმჯობესება უფრო ადვილად შესასრულებელი და განსახორციელებელი იქნება, როცა მშრომელ ელემენტს ჩვენის ტერიტორიის მცირე-რიცხოვან და ნაკლებ ღონიერ მოწინააღმდეგეებთან ექმნება საქმე და არ იქნება შერჩეული სრულიად რუსეთის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც გამომხატველი იქნება 130-მილიონიან მცოვრებთა კლასობრივ განწყობილებისა და ძალ-ღონის განაწილებისა.

ამიტომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი ცხადი სარგებლობა დემოკრატიულ ავტონომიისა ჩვენის ხალხის დიდ ნაწილს შეგნებული აქვს, ხოლო, ვისაც ჯერ არ შეუთვისებია, პირველ ახსნისათანავე შეიგნებს და შეისისხლხორცებს. ამიტომაც ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს და არ გვაშინებენ ის „მტრები“, რომელნიც ავტონომიის მომხრეთა შესახებ ათას ჭორებს და უსინდისო ცილის-წამებას ავრცელებენ...

ადგილ-მამულის საქმე და ხაზინა

—

ადგილ-მამულის საქმე,—საჭირბოროტო საქმეა კავკასიისთვის...

ხალხს საკმარისი მიწა არა აქვს. უმიწაწყლობით შეწუხებული ქართველი იძულებული ხდება მოშორდეს ოჯახს, დააგდოს სამშობლო მხარე და თავის სარჩენად ცხრა მთას იქითაც გადაიკარგოს...

სოფლად ბევრგან ადამიანს ხარ-კამეჩიც ვერ გაუჩენია...

ბევრგან ერთი ქცევა ადგილიც არა აქვს სოფლელს!

ამასობაში კი მთავრობა და ოფიციალი სტატისტიკა აცხადებენ: კავკასიაში მცხოვრებთა საკმარისი რიცხვი არ არის, კავკასიაში ბევრია ცალიერი, დაუსახლებელი ადგილი...

და ჰგზავნიან შიდა-რუსეთიდან ხალხს კავკასიაში დასასახლებლად...

იქიდან ჩამოსულებს ასახლებენ შავი ზღვის პირას, ასახლებენ მუღანის მინდორში...

საუკეთესო მიწებს აძლევენ...

ფულით ეხმარებიან, ყოველგვარ მფარველობას უჩენენ.

ადმინისტრაცია თავს ევლება მას, თითქო აქ, კავკასიაში, ისინი რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიების პატრონი იყვნენ და მათთვის იყოს გაჩენილი კავკასია, აქაური ხალხი, ადმინისტრაცია, ჰაერიც.

მშიერ-მწყურვალი სოფლელი, უმიწაწყლობით შეწუხებული, ვერსად დახმარებას ვერ ჰპოვებს, გამუდმებით შრომობს და მხოლოდ იხდის ყოველგვარ გადასახადს...

ამ გადასახადის სახით ხაზინაში შესული ფული იხარჯება იმაზე, რომ მის მეზობლადვე დასახლდნენ ახლად ჩამოსული „პერესელენცები“ გაიშენონ სახლები, მიიღონ მიწები...

ხალხი ფულს იხდის იმისთვის, რომ ამ ფულით გამოეცალოს მიწა-წყალი და ამ მიწა-წყალზე დასახლდნენ გარედან შემოსული პირები.

მაგრამ როგორ ხდება, რომ ადგილობრივ მკვიდრს ადგილი არა აქვს და ამასობაში შიდა-რუსეთიდან გადმოსულთათვის ყოველთვის ბლომად არის თავისუფალი ადგილი?

როგორ შეიძლება, რომ იმავე ადგილას იყოს და არ იყოს თავისუფალი ადგილი?..

ეს „თავისუფალი“ ადგილი ეკუთვნის ხაზინას...

ხაზინა კავკასიაში უდიდესი მემამულეა...

ხაზინის ხელშია ყველა ის მამული, რომელიც უწინ საქართველოს სამეფო გვარეულობის საკუთრებას შეადგენდა.

ხაზინისა შეიქმნა ყველა მამული, რომელიც უწინ საეკლესიო ყოფილა.

ხაზინას ეკუთვნის ის მამულებიც, რომელიც მას ჩამოურთმევია სხვადასხვა პირისთვის „ხელმწიფის ორგულობის“ მიზეზით.

იქ, სადაც უწინ, მაჰმადიანთა კანონის ძალით, მიწა მხოლოდ სახელით იყო მთავრობის საკუთრება და კერძო პირთა საშვილიშვილო მფლობელობაში ითვლებოდა, ხაზინამ თავის საკუთრებად გამოაცხადა ყველა ადგილი და მფლობელობა კი მოუსპო ყველას...

ეს ადგილები ხაზინას ეკუთვნის და ხაზინაც ამ ადგილებით სარგებლობს იმისთვის, რომ აქ დაასახლოს შიდა-რუსეთიდან გადმოსულები.

ესეც არ კმარა...

კავკასიაში ადგილების გამიჯვნის დროს ხაზინამ ყოველგან მოიმიჯნა იმაზე მეტი, რაც ეკუთვნოდა ნამდვილად.

იწყებოდა დაუსრულებელი დავა და სადავო ადგილები საქმის დასრულებამდის ხაზინის ხელში გადადიოდა,—ბევრი ხარჯი, ბევრი დავი-დარაბა სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება ადგილის პატრონს იმისთვის, რომ დაიბრუნოს ხაზინიდან თავისი მამული...

თუ ვერ გაუძლო ხარჯებს, ფეხიზლად არ იქმნა საქმეზე,—დაიღუპება, მამული ხაზინას შერჩება.

ყველამ იცის სვირის მთის საქმე,—პეტერბურგიდან იყო გამოგზავნილი განსაკუთრებული მოხელეები, ხაზინამ განსაკუთრებული ვექილები დაიყენა, ინსტრუქციები დასწერა საქმის წარმოების შესახებ...

და ეს უზარმაზარი მამული გამოეცალა ხელიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს,—ხაზინისა საკუთრება შეიქმნა...

სამეგრელოში, ს. ხორთასგან, ხაზინამ გამიჯვნის დროს თავის საკუთრებად გამოაცხადა უზარმაზარი ადგილი (სიგრძით 25 ვერსი და სიგანით 5 ვერსი),—სასამართლოში კი საქმის წარმოების დროს აღმოჩნდა, რომ მას მხოლოდ ორიოდე პატარა ნაჭერი ეკუთვნის.

ხაზინა თავის საკუთრებად აცხადებდა თავ. ანდრონიკაშვილების, ჭავჭავაძეების, ჯორჯაძეების ადგილებს ალაზნის იქით მხოლოდ იმ საბუთით, რომ ამ ადგილებში ოდესღაც გაუვლია რუსის ჯარს...

ხაზინამ აუარებელი მამული ჩაიგდო ხელში იმ საბუთით, რომ სახაზინო გლეხად ჩარიცხა ყველა ის გლეხი, რომელსაც ბატონყმობის გადავარდებამდის ჰქონდა დახსნილი თავი და შეძენილი საკუთრებად ადგილი. ამნაირი თავდახსნილი გლეხი მაშინ თავის თავს თავისუფალს ეძახდა, «სახელმწიფო კაცს» ირქმევდა. „ჩინოვნიკებმა „სახელმწიფო კაცი“ სახაზინო გლეხად გადააქციეს და ხაზინას მიაკუთვნეს მათი საკუთრება მამული.

ხაზინამ ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში დაისაკუთრა ყველა ადგილი, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული მამაპაპათაგან საკუთრებად.

ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებში უნდა შექმნილიყო სახაზინოდ ალალარების მიწები.

ერთის სიტყვით, ყველგან და ყოველთვის ხაზინის წარმომადგენლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი მამული გამოეცხადებინათ ხაზინის საკუთრებად და უკარგავდნენ ადგილმამულს არა მარტო დიდ მემამულეებს, გლეხობასაც კი და სოფლებსაც.

სახაზინო ადგილი ხალხის საერთო კუთვნილებაა და ამიტომ ხალხისთვის ბევრგან სასურველიც ხდება მიწა-ადგილის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება...

მაგრამ იქ, სადაც ხაზინა ამ ადგილებს ადგილობრივ მკვიდრ ხალხის სასარგებლოდ არ ხმარობს, გარეშე პოლიტიკით ხელმძღვანელობს და სახაზინო ადგილებზე, ხალხის საერთო საკუთრებაზე, ასახლებს გარედან მოსულებს, სადაც ამნაირად ხაზინის ხელში გადასული ადგილი ხალხისთვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, იქ ხალხი, რასაკვირველია, ვერ თანაუგრძნობს ხაზინისაგან ადგილების შეძენას...

ხაზინა იგივე კერძო მესაკუთრე გამოდის; როგორც სხვა ვინმე, ხაზინაც თავის აუარებელ მამულს შემოსავლისთვის ინახავს, რომ ამ შემოსავლით გააძლიეროს პოლიცია და შიდა-გუბერნიებიდან გადმოასახლოს „პერესელენცები“.

ასევე იქცევა ხაზინა სხვაგანაც...

ამიტომ უნდათ, რომ სახაზინო ადგილების გამგეობა ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების ხელში გადავიდეს, რომ საერთო კუთვნილება,—სახაზინო ადგილი,—საერთო სარგებლობისთვის საერთო გადაწყვეტილებით მოიხმაროს საზოგადოებამ.

მაშინ სახაზინო ადგილებს სულ სხვა მნიშვნელობა ექნება.

მაშინ მოისპობა ის სამწუხარო მდგომარეობა, რომ დღეს ადგილობრივ მკვიდრთათვის არ არის დასასახლებელი ადგილი და გარედან მოსულებს კი თითოს 40 დღიურსაც აძლევენ.

და ხალხი, თავის საკუთრების ნამდვილ ბატონად გამხდარი, მოიხმარს თავის მიწა-წყალს ისე, როგორც მისთვისვე შეიქმნება საჭირო...

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

5 აპრილი.

ლიმოჟი, 5 აპრილი. საპურობილეს იცავენ ცხენოსანი ჟანდარმები. საპურობილის კარები დალეწილია. ახალ ჯარის მოსვლას ელიან. ქალაქის სახლის ბაირაღი ნახევრად დაშვებულია. მუნიციპალიტეტმა პროტესტი განაცხადა, ქუჩებზე ჯარი ნუ იქნებაო: ჯარმა უიარაღო ხალხს დაუწყო სროლაო. მცხოვრებლებს სთხოვენ, დამშვიდდით, რადგან შეიძლება საშინელი სისხლის დვრა კიდევ განმეორდესო.

პარიჟი, 5 აპრილი. (ჰავასი). ლიმოჟში მომხდარ არეულობის შესახებ შეკითხვაზე, მინისტრმა ეტიენმა პალატაში განაცხადა, ძალიან ვწუხვარ; ყველანაირი ზომები მივიღე, რომ შემდეგში სისხლის დვრა აღარ მოხდესო. მთავრობას მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა უნდა, მაგრამ გარდაწყვეტილი აქვს, წესიერება დაიცვას.

მიტავა, 5 აპრილი. მაზრებას თავად-აზნაურთა წინამძღოლნი ჩამოვიდნენ. თავად-აზნაურთა წინამძღოლთ უნდათ, შეიმუშავონ ზომები სოფლებში გლეხთა მოძრაობის მოსასპობად.

ირკუტსკი, 5 აპრილი. სამთო ინჟინერი ტუღჩინსკი ჩუკოტსკის ნახევარ-კუნძულზე მიდის, ოქროს მადნების გეოლოგიურად გამოსაკვლევად.

ომახა. რადგანაც ამერიკელების ხორცის დიდს საწყობებში მოსამსახურეებმა მუშაობაზე ხელი აიღეს, იმათ მაგივრად 700 იაპონელი დაიქირავეს. დღეს 500 სკოლის მოწაფე სკოლაში აღარ წავიდა, ქუჩებში დადიოდა და იაპონელთა წინააღმდეგ სიტყვებს ამბობდა. მოწაფეებს უკან აუარებელი ბრბო მისდევდა. პოლიციამ ხალხს ნება არ მისცა, რომ იაპონელებისთვის რამე ევნოთ.

კალკუტა. თუმცა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და უკვე ზომები მიიღო, შავი ჭირი მაინც მძვინვარებს. წარსულ კვირას კალკუტაში შავი ჭირით მომკვდართა რიცხვი დღეში 100-მდე ადიოდა. მომკვდართა მომეტებული ნაწილი ოლქებიდან ჩამოსულები იყვნენ. შავი ჭირი უფრო ადგილობრივ მცხოვრებლებში მძვინვარებს. ამას წინად აქ შესდგა დიდი მი-

ტინგი. მიტინგებმა რამდენიმე რეზოლუციით კერზონის მმართველობის ხისტემ დაჰგმო. ეს რეზოლუციები ინდოეთის მთავრობას გაუგზავნეს და სთხოვეს, ინდოეთის საქმეების სტატს-სეკრეტარს გაუგზავნეთო; მაგრამ მთავრობამ ეს თხოვნა უარჰყო და უკანვე დაუბრუნა.

ბორდო. გემების მტვირთავი გაფიცული მუშები შეიჭრნენ ვერფის სახელოსნოებში, სადაც ზოგიერთნი მუშაობდნენ, და უნდოდათ მუშაობაზე ხელი აეღებინებინათ. გაიმართა ჩხუბი. სამი მუშა მსუბუქად დაიჭრა, ერთი—მძიმედ. პოლიციელებს, რომლებსაც არეულობაში ჩარევა უნდოდათ, ქვები დაუშინეს. რამდენიმე კაცი დაჭრილია. წყლის პირის ქუჩას პოლიცია სდარაჯობს.

ლიმოჟი, 5 აპრილი. გუშინ საღამოს პოლიციელებთან რამდენიმე შეტაკება მოხდა, რადგან პრეფექტმა დატუსაღებულ მანიფესტანტების განთავისუფლებაზე უარი განაცხადა. გაფიცულნი საპყრობილესაკენ გაემართნენ და კარების შემტვრევა უნდოდათ, მაგრამ პოლიციელებმა გაჰფანტეს. გაფიცულები მაინც თავისას არ იშლიდნენ. მაშინ ჯარმა ჯერ ცალიერ წამლით გატენილი პატრონებით იწყო სროლა, შემდეგ კი ტყვიით. ერთი მუშა მოკლულ იქმნა, ერთიც სახიფათოდ დაიჭრა. გაფიცულები გაჰფანტეს მხოლოდ საღამოს 10 საათზე. დაჭრილია 30 ჯარის კაცი.

პარიზი. სენატმა 1905 წლის ბიუჯეტი ერთხმად მიიღო.

შანხაი. აქ მოვიდა ერთი ჩინელი-ქრისტიანი და სთქვა, ამერიკელი მისიონერი კენნედი კუხარჩენში შეიარაღებულმა ავაზაკებმა მოჰკლესო.

მოსკოვი, 5 აპრილი. დიდი მთავრის მკვლელს კოლიაევს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს.

ბერლინი, 5 აპრილი. „კელნიშე ცეიტუნგი" ამბობს, თუმცა დელკასემ განაცხადა, განზრახვა მაქვს მოლაპარაკება დავიწყოო, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუწყია. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საფრანგეთს უნდა მაროკოში უპირატესობა მოიპოვოს, თუმცა მაროკო დამოუკიდებელი ქვეყანაა. საფრანგეთის ამნაირი მოთხოვნილებანი საშიშია გერმანიის უფლება-უპირატესობისათვის, რომლის დაცვაც განმარტებით კი არ შეიძლება, არამედ მხოლოდ იმით, რომ საფრანგეთმა მაროკოში გერმანიის უფლებანი აღიაროს.

ბუდაპეშტი, 5 აპრილი. ამბობენ, ავსტრიის ფინანსთა მინისტრს კაბინეტის შედგენა დაევალაო.

ვენა, 5 აპრილი. საქონლის მატარებლების იტალიაში გაგზავნა შესწყდა.

რომი, 5 აპრილი. გაფიცულთა რიცხვი, დასახლოვებით, 50,000 კაცამდე იქნება. რკინის გზის სადგურებში ჯარები სდგანან.

6 აპრილი.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის 5 აპრილის სხდომაზე განიხილეს ის საგნები, რომელიც გასულ წლის 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების მე-7 მუხლშია აღნიშნული და რომელიც პოლონეთის სამეფოს გუბერნიებს შეეხება. უწინარეს ყოვლისა კომიტეტმა მსჯელობა იქონია იმაზე, თუ რა ნაირ ფარგალში იქმნას ნებადართული პოლონური ენის შემოღება პოლონეთის დაბალ სკოლებში.

ბერლინი, 5 აპრილი. გერმანია მზად არის შეუთანხმდეს საფრანგეთთან მაროკოს საქმეში შემდეგს მუხლებში: 1) ყველა უცხოეთის საქონელზე, ვადის განუსაზღვრელად, უნდა დაწესდეს ყველასთვის ერთნაირი სადამოჟნო ბაჟი; 2) მაროკოში ყოველგვარი კონცესიები ყველა უცხოელ მსურველთათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს და არ უნდა იყოს მხოლოდ ფრანგების ხელში, როგორც დღემდე იყო.

სტამბოლი, 5 აპრილი. პორტა თანახმა არაა, რომ ავაკუმოვიჩი სერბიის ელჩად დაინიშნოს სტამბოლში, რადგანაც ავაკუმოვიჩი ერთი უმთავრესი მონაწილეთაგანი იყო ბელგრადში 1903 წ. 29 მაისს მომხდარ ტრაგედიისა, რომლის დროსაც მოჰკლეს სერბიის მეფე ალექსანდრე და დრაგა დედოფალი.

რიგა, 5 აპრილი. ხმა გავრცელდა, რომ ებრაელთა კანტორა ხაზანოვსკისა და კანტორისა თვით პატრონის მოხერხებითაა გაძარცული. ამბობენ, კანტორას კამინოვმა რევოლვერები უნდა გაეგზავნა, მაგრამ რაკი რეგისტრაცია დაწესდა, შეკვეთილ საქმეს ვერ ასრულებდნენ მთავრობის ნება-დაურთველად, მთავრობა კი ნებას არ მისცემდაო. რომ შეესრულებინათ შეკვეთილი საქმე, კანტორის პატრონებმა თვითონ მოახერხეს კანტორიდან რევოლვერების გატანა დანიშნულებისამებრ გასაგზავნად და ისე გამოიყვანეს, ვითომ ვისმე გაეძარცვოსო.

გუშინ ვიღამაც რევოლვერით ფეხში დასჭრა ოსტატი შულმეისტერი და შემდეგ მიიმალა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

5 აპრილი.

პეტერბურგი, 5 აპრილი. გენერალ ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბის მიმართ 5 აპრილის თარიღით: ჯარებში ცვლილება არა მომხდარა. 31 მარტს, დილის 5 საათზე, ჩვენმა რაზმა, რომელსაც იუხულესთან 29 მარტს ბრძოლა ჰქონდა, ხეიშიმუსკენ დაიწია და ხეიშიმუს ვერს-ნახევარზე მოშორებით პოზიცია დაიჭირა, მაგრამ შეამჩნია, რომ მტრის ძლიერ რაზმს მარცხენა მხრით შემოვლა უნდოდა და კიდევ უკან დაიხია.

ტოკიო, 5 აპრილი. იაპონური გაზეთები ჯავრობენ, ბალტიის ესკადრა კამრანის ნავთ-სადგურში რათ არისო, და საფრანგეთს ნეიტრალიტეტის დარღვევას აბრალებენ. გაზეთები იაპონიის მთავრობისგან სასტიკ ზომების მიღებას თხოულობენ და ამტკიცებენ, რომ ახლა დროა, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის ძალით, ინგლისს დახმარება ვსთხოვოთო.

ბომბეი, 5 აპრილი. (რეიტერი). გემ „რივერდეილის" 11 მატროსი, რომელთაც კობეში წასვლაზე უარი განაცხადეს, რადგან გემი ბამბით იყო დატვირთული, ბომბეის სასამართლომ გაამართლა. სასამართლომ თავისი გარდაწყვეტილება იმითი დაასაბუთა, რომ რუსეთმა ბამბა კონტრაბანდად გამოაცხადა და მატროსებს დაჭერისა ეშინოდათო. ბალტიის ესკადრის აზიის წყლებში შესვლამ ბომბეიში დიდი ალიაქოთი გამოიწვია, რადგან ეხლა იაპონიაში ბამბით დატვირთული მრავალი გემი მიდის.

პარიზი, 5 აპრილი. გაზეთების აზრით ზღვაზე ომი ამ დღეებში უნდა მოხდეს, რადგან ტოგო ყოველ ღონისძიებას იხმარებს, რომ როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრები არ შეერთდნენ, ამასთან ნეიტრალიტეტის წესებით რუსის გემებს ინდო-ჩინეთის ნავთ-სადგურებში დიდხანს გაჩერება არ შეუძლიანთ.

სანგაპური, 5 აპრილი. მოვიდა გემი „სიეიხანგი" და ამბავი მოიტანა, 2 აპრილს, კამრანის ნავთ სადგურის მახლობლად გავლის დროს, რუსეთის ესკადრა ენახათ. ესკადრა ლუზონზე მდგარა. ესკადრის ყველა გემები ნახშირს უღებდნენ.

პარიზი, 5 აპრილი. დღემდე საფრანგეთს არ მიუღია ოფიციალური პროტესტი იაპონიისა იმის გამო, რომ რუსეთის ესკადრა კოხინხინის ნაპირებზე იმყოფება. ამის გამო რაღაც გაუგებრად მიაჩნიათ ის მუქარის დეპეშები, რომელიც ტოკიოდან მოდის ლონდონის გზით.

ლონდონი, 5 აპრილი. როგორც კერძოდ მიღებულ დეპეშებიდანა სჩანს, გემი „ლინკოლნშაირი"-ი, რომელიც ბრინჯით იყო დატვირთული, ჰონკონგში მოსულ რანგულისა და იოკოჰამის გზით, ხოლო შემდეგ კი, როგორც სხვა გემებს, უარი განუცხადებია, ამას იქით აღარ წავალო, რადგან შესაძლოა გზაში რუსეთის ესკადრას შევეჩეროთ, რაიცა ძლიერ საშიშოაო. გემების დიდი ნაწილი ნუზლ-სანოვაგით დატვირთული მიდის. ამ გემების ჰონკონგში შეჩერება ძლიერ უჭირებს საქმეს იაპონელ მთავრობის მოხელეებს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მანჯურიაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 29 მარტს რუსთა ერთმა რაზმმა ცოტათი წინ წაიწია, მაგრამ 31 მარტს იაპონელებმა ამ რაზმს ისევ უკან დაახევინეს (რ.).

«ნოვ. ვრემია»-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიამ გადასწყვიტა მანჯურიაში 1 მილიონი კაცი გადაიყვანოს. აქედან 700 ათასი მებრძოლი იქნება, დანარჩენი—მუშა, მოსამსახურე და სხ. (ნ. ვ.).

ინგლისელ რადიკალ-იმპერიალისტთა განთქმული წინამძღოლი ჩემბერლენი დაჟინებით თხოულობს, ინგლისი იაპონიას, რაც შეიძლება, მჭიდრო კავშირით უნდა შეეკრასო (ნ.).

„რუს"-ის კორესპონდენტი ხარბინიდან იუწყება: ჩინელები უფრო და უფრო თამამდებიან და მტრულად გვექცევიანო (რ.).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. დეპეშამ საყურადღებო ამბავი მოიტანა: რუსეთის ესკადრა ჰონკონგს დაუპირდაპირდა. თუ ეს ამბავი მართალია, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა ხვალ ან ზეგ მოხდება. ჰონკონგიდან ფორმოზის სრუტემდე ერთი დღის სავალია. თუ როჟესტვენსკი აქ არ გაჩერდა და პირდაპირ ფორმოზის სრუტესკენ წავიდა, ადმირალ ტოგო გზას გადაუღობავს და შეებრძოლება (რ.).

როჟესტვენსკის მთავარი ესკადრა გაჩერდა კამრანის ნავთსადგურში, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის. ამის გამო იაპონელები ძალიან აღელდნენ და პირდაპირ თხოულობენ, ინგლისს კავშირის პუნქტები მოაგონოთ და შველა მოვთხოვოთო. მართლაცა და საფრანგეთმა ანუ, უკედ რომ ვთქვათ, საფრანგეთის ბურჟუაზიამ არა ერთხელ დაარღვია ნეიტრალიტეტი და ეხლაც არღვევს. საფრანგეთის ბურჟუაზია ამ ომში რუსებზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული და შიშობს, ვაი თუ რუსეთი საბოლოოდ დამარცხდეს და მეც ნასესხი მილიარდები დამეკარგოსო (ნ.დ.).

გედკეს აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლის შესახებ. როჟესტვენსკისა და ტოგოს ესკადრები რაოდენობით თანასწორნი არიან, მაგრამ რუსებს იაპონელებზე გაცილებით მეტი ჯავშნოსნები აქვთ (რუსებს—7, იაპონელებს—4) და ამ მხრივ იაპონელებზე ძლიერნი არიან. ზარბაზნებიც თანასწორად აქვთ, მაგრამ დიდი ზარბაზნები რუსებს მეტი აქვთ, მაშასადამე, რუსები ამ მხრითაც ძლიერნი არიან. დასასრულ, ცხადია, რომ ადმირალი როჟესტვენსკი ტოგოზე ძლიერია. ამას არავინაც არა ჰყოფს უარს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თუ როჟესტვენსკი დამარცხდა, რუსეთის პატრიოტები ყვირილს მორთავენ, რუსეთის ფლოტი იაპონიისაზე სუსტი იყოო. ეხლა ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, სუსტი ტოგო, თუ ძლიერი როჟესტვენსკი (ნ. დ.).

ადმირალ ვალუას აზრი. გერმანიის ცნობილი მეზღვაური, ადმირალი ვალუა ადმ. ტოგოსა და როჟესტვენსკის ესკადრებს ერმანეთს ადარებს და შემდეგი დასკვნა გამოჰყავს:

	როჟესტვენსკის ჯავშნოსნებზე არის:	ტოგოს ჯავშნოსნებზე:
12 დიუმ. ზარბაზანი	24	20.
10 „ „	4	1.
8 „ „	0	6.
სულ	28.	27.
წვრილი ზარბაზნები	407.	259.
სულ	435.	286.

ამრიგად როჟესტვენსკის ტოგოზე 149 ზარბაზანით მეტი აქვს. დასასრულ ვალუა სწერს: ბრძოლის დროს ყველაფერი ხელოვნებასა და სიმამაცეზე იქნება დამოკიდებული. ამ მხრივ იაპონელები სჯობნიან რუსებს. რაც უნდა იყოს, რუსეთის ესკადრა მშვენიერი მახვილია, რომლის მოხმარება იმაზეა დამოკიდებული, ვისაც ეს მახვილი უჭირავს (რ.).

ახალი ამბავი

✦ სად. ტფილისში გაფიცულნი არიან მატარებლების მემანქანეები და მათი თანაშემწენი. **მატარებლების წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილია** და ხმებიც არის გავრცელებული, რომ რამდენისამე დღის განმავლობაში რკინის გზით მოგზაურობა სახიფათო იქნებაო.

✦ გუშინ საღამოს, **ბაქოსკენ გაგზავნილი მატარებელი ნავთლუღს იქით ველარ წასულა.**

✦ გუშინ 6 აპრილს ბაქოდან **უკანასკნელი სახალხო მატარებელი მოვიდა**, რომელმაც 5 საათით დაიგვიანა, რადგანაც გზაზე ლიანდაგი ეყარათ ვიღაცეებს. მატარებელმა ტფილისამდის მაინც ვერ მოახწია და ნავთლუღიდან დაიშალნენ მგზავრები.

✦ სამშაბათს, 5 აპრილს, როდესაც გუმბრიდან სახალხო მატარებელი მოვიდა და მემანქანე შინ წავლას აპირებდა, მემანქანეს უბძანეს, ახლა მეორე მატარებელი წაიყვანეო. მან უარი განაცხადა და, როცა სადგურის უფროსის ოთახში მიჰყავდათ, **მემანქანეთა ერთმა ჯგუფმა იგი გაანთავისუფლა.** შეგროვდა აუარებელი ხალხი. მოცვინდნენ ყაზახები, ორჯელ უტყვიოთ თოფები დასცალეს და ხალხი დაფანტეს.

✦ გუშინ ტფ. **რკინის გზის სადგური დაკეტილი იყო.** უკანა შესავალ კარებსა და ბაქანზე ხიშტიანი ჯარის კაცნი, ჟანდარმები და კაზაკები იდგნენ.

✦ გუშინ, 12 საათზე, რკინის გზის სადგურის ახლო ლიანდაგზე ტელეგრაფის **მოსამსახურეებმა და სხვა მოხელეებმა თავი მოიყარეს** და თავიანთ პირ-ვარამზე მოლაპარაკება უნდოდათ, მაგრამ მოვიდნენ კაზაკები და ხალხი გაჰფანტეს.

✦ ნავთლუღში მეურმეები, მედროგეები და აგურხანის სხვა ქარხნების **მუშები გაფიცულან.**

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის იმ მოხელეებმა,** რომლებსაც თვეში ხუთი თუმანი ჯამაგირი აქვთ, **სთხოვეს რკინის გზის მმართველობას,** როგორც ჩვენთვის, ისე ოჯახებისთვის მე-II კლასის ბილეთები გვეძლეოდესო. აქამდის, მაგ. კონტროლში, თვით მოსამსახურეთ მე-II კლასის უფასო ბილეთები ეძლევათ, მათ ოჯახობას კი მესამისა.

✦ ჭიათურიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, **გლეხთა მოძრაობა დღითი-დღე უფრო მწვავდებაო.** გლეხები ემუქრებიან თავად-აზნაურს: „თუ ვინმე გაბედავს ჩვენ წინააღმდეგ კაზაკთა რაზმის მოწვევას, მაშინ თქვენა და თქვენ ცოლშვილს წინ წავიმძღვარებთ, ჯერ თქვენ დაგხოცოთ კაზაკებმა და მერმე ჩვენო".

✦ ს. კიკეთში კონსტანტინე ონიკოვს დაეწვა **რამდენიმე ძირი თივა.** ზარალი 4,000მანეთამდეა. მიზეზად მოჯამაგირეების გაუფრთხილებლობას ასახელებენ.

✦ ამას წინად „ნოვოე ობოზრენიე"-ს სოფელ კიწვისიდან ვიღაცა სწერდა: გლეხთა მოძრაობის გამო, თავ. ციციშვილებმა გამოითხოვეს ოცდაათი კაზაკიო. **თავ. კონსტ. გიორ. და მიხ. ირაკ. ციციშვილები ამავე გაზეთში აცხადებენ,** რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ რეპრესიულ ზომებისა, კაზაკები არ მოგვითხოვნია და არც მთავრობას გამოუგზავნიაო.

✦ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, სოფელ გლდანში, ნიკ. ზაქ. აქიმოვის მამულში, გლეხები ძალით შესულან, **მიწებსა ჰხნავენ და ტყეებს სჩეხავენო.** ეს მამული ჩვენს ბანკშია დაგირავებული და რადგან სახელმწიფოს ბანკის ინტერესებიც იჩაგრება ზომები მიიღეთო.

✦ სამოსამართლო **ბრალმდებელთ** გუბერნატორისათვის **უთხოვნიათ** გლეხთა **მოძრაობის დაწვრილებითი მოხსენებანი** ამიერიდან ჩვენ წარმოგვიდგინეთ ხოლმეო. გუბერნატორს თანხმობა განუცხადებია.

✦ „ცნობის ფურცელს" დეპეშით ატყობინებენ ნატანებიდან: 5 აპრილს, შუადღეზე, ბათუმში გაძარცვეს როტშილდის ბუხჰალტერი და გაიქცნენო.

✦ როგორც სოფ. წყნეთიდან გვატყობინებენ, **სოფლის კანცელარიის ფანჯრები ჩაულეწიათ** და საქმის ქაღალდებიც დაუწვამთ.

✦ **კობენის** ქართველთა **მონასტერი,** რომელსაც ამჟამად რუსი ბერები განაგებენ 30 მარტს, ვიღაცეებს გაუტეხიათ და 400 მანეთის ნივთეულობა წაუღიათ.

✦ ტფილისის საშუალო და დაბალ სასწავლებლების ზოგიერთ პედაგოგებმა გუშინ, 6 აპრილს, ხმოსან ა. ს. ბაბოვს თხოვნით მიმართეს. მასწავლებელნი თხოულობენ **გამართონ საზოგადო კრება ყველა მასწავლებლებისა,** რადგან სხვადასხვა პირებისაგან სამდურავი გვესმისო. მასწავლებელთ თავიანთი დადგენილებანი უკვე შემუშავებული აქვთ თურმე. **სხვათა შორის,** მასწავლებლებს ისიც დაუდგენიათ, რომ დირექტორებსა და ინსპექტორებს თვით მასწავლებელთა წრე ირჩევდესო.

✦ სახალხო სკოლების დირექტორმა **სთხოვა ქალაქის გამგეობას,** სახელოსნო სასწავლებლის

ფელეტონი

მთხოვარა.

I.

ქვეშ, მიეწყებულ ჯურღმულ სარდაფში,
მრავალ შრომისგან ნაქენჯნ-ნაწვალებს
და მოხუცებით წელში გატეხილს—
სძინავს მთხოვარას... ძილში კანკალებს.
ჩალის ლოგინზე, მომშხამელ ნამით
ნახევრად დამპალ-აშმორებულზე—
გდია საზარლად და მკვახარი მკლავნი,
ვით სხვა მკვდრის ძვლები, აყრია გულზე.
თავით მუცლამდე გატიტვლებული,
ოდნავ მსუნთქავი, მწარ სანახავი,—
გაფიქრებინებს, თითქო ჩონჩხისთვის
აქ ხელოვნურად გადუკრავთ ტყავი.
მის ტან-სახეზე შრომას და ტანჯვას
მგესლავ ბრჭყალებით დაუსვამს ღარი
და მელოტ თავზე, ვით ხელის გულზე,
თმის ნატამალიც აღარსად არი.
ქუჩის ნარეცხი, წუმპე და წყალი,
ფანჯრიდან შიგნით შემონთხეული,
ქვეშ შესდგომია და ამ წუმპეში
ულონოდა დევს მისი სხეული.
კოღო და ბუზნი გადასევიან
ძირს ჩამძვრალ თვალებს, ამოშრობილებს,
და გამხდარ კანად შიგ ჩასწოლია
ტუჩები იმის ჩანგრეულ კბილებს...
თითქმის სულ შეხრეს მწერმა, ჰიებმა,
თავეებმა მის ჩონჩხს შემოღრღნეს ტყავი,
მაგრამ ის ალბად ძლიერ დაღლილა:
ძილს ვერ წაართვა მან კიდევ თავი!

II

მწუხრია... დიდის ტანჯვა-წვალებით
ძლივს გაიმართა მთხოვარამ წელი;
ქუჩას გავიდა... პირველ გამომვლელს
მან გაუწოდა მთრთოლვარე ხელი.
მაგრამ ამაოდ... ის თავის გზაზე
მიდის, მთხოვარას ვითომ ვერ ხედავს,
და ეს კი თხოვნას განმეორებით
გზაზედ მომავალს ველარ უბედავს.
მიდის წელ-მოხრით... აგერ მბრწყინავი
ეტლი მიჰქროლავს, როგორც რომ ელვა,
და მყის ჩერდება... უცებ მთხოვარას
მოულოდნელად აიტანს ღელვა.
შიგ ხედავს მნათობს, მთვარეს, ზეცის შვილს,
თვით ხორც-შემოსხმულ ღვთაებას ხედავს;
ამ სოფლიური ვნება და ფიქრი
მას სამქვეყნოდ როგორ შეჰბედავს!..
შიგ ზის ქალწული... ქალი კი არა.
თვითონ სიწმინდე, თვით სათნოება:
ამგვარი სახე და ეს სურათი
მხოლოდ ზეცაში თუ იპოვება!
და მის წინ მუხლებს იდრეკს მთხოვარა...
მას მოწყალება აღარ სწყურია:
ამით თაყვანს სცემს იგი სიწმინდეს,
ეს ღვთის ლოცვა და სამსახურია.
მაგრამ მოესმა უცბად ეტლიდამ:
„გააგდეთ შორს ეგ საზიზღარი!"
და ამ სიტყვებზე კრთება მთხოვარა,
მყის დაეცემა მეხად თავზარი.
დგება და მიდის, მიდის და ფიქრობს:
„ოჰ, ეს ცხოვრება რა რიგ მწარეა?!
სიყალბე არის მთელი ქვეყანა,
თვით სათნოებაც მატყუარია!"

III

აგერ ხედავს ის: სანთლის სხივ-შუქში
დიდი ტაძარი ბრწყინავს დიდებით,
ხატებს, მდიდრულად მორთულს, გულ-მკერდი,
მოჭედილი აქვთ ოქროს ზოდებით
ლალი, ალმასი, თვალ-მარგალიტი
კანკელზე ჭურჭლებს უხვად აყრია
და მოწიწებით მათ წინ ხალხის გუნდს
ლოცვაში თავი ძირს დაუხრია.
ლოცულობს იგიც... წყნარად, სიმშვიდით
კართან კედელზედ არს მიყრდნობილი
და მოწყალების თხოვნის სანიშნოდ
ცალი ხელი აქვს ოდნავ გაწვდილი.
ხალხი დგას ირგვლივ... ყრმა და მოხუცი,
ქალი და კაცი, დიდი, პატარა
ერთგვარის გრძნობით გატაცებულან
და უფალს ქებას უძღვნენ წყნარა.
დგას კვლავ მთხოვარა... ასე საშინლად
არ სდომებია ჯერ იმას საზრდო!
შიმშილით იწვის, მაგრამ მის ხელზედ
თვით ერთი ფარაც არვინ არ დასდო.
და ამ დროს ნელ-ნელ ტაძრის მსახური
ხალხის გუნდს აპობს, ზარს ურაწკუნებს,
ხელში თეფში აქვს, ღვთისთვის ფულსა ჰკრეფს,
ხალხიც ამ თეფშზე ჰყრის და ჰყრის ფულებს...
მოკლული გული აუმღელვარდა
საწყალ მთხოვარას, რა რომ ეს ნახა;
წყრომით აიღო მან მაღლა თავი
და მრისხანებით ზეცას შესძახა:
„აღარა მწამხარ, აღარ ვარ შენი,
არ მოვიქცევი აწ მე შენდამო:
ტყუილა ვგმობდი კაცთ გულ-ქვაობას,—
ჩემს საწყლ-ხვედროს თურმე შენც სჯამო!"

ცახელი.

პატარა ამბავი

გრძელს სასადილო მაგიდას ორ მხრივად უსხედან დაპატიჟებულნი და სადილობენ.

როგორც გარეგანი შეხედულობით, ისე შინაარსითაც სტუმრები ერთი-ერთმანეთისაგან ძალიან განირჩევიან. ჩოხიანი, სერთუკიანი, კაბიანი, ნასწავლი, უსწავლელი, მოხუცი, ქალი, ბავშვი ერთმანეთშია არეული.

სხედან, დინჯად, მშვიდად, ცდილობენ არავინ შეაწუხონ, ნელის ხმით ჩურჩულობენ და დამკრთალნი საჭმელს ნაზად შეექცევიან.

თამადა თავს ძალას ატანს, თავისი თანამდებობა კარგად უნდა შეასრულოს.

— გამხიარულდით, ბატონებო!—გაიძახის თამადა, რადგან მასპინძელი ეუბნება, სტუმრები გამიმხიარულეო.—გამხიარულდით, ნუ მოიწყენთ ყველი და პური, კეთილი გული, სხვა რა გინდათ?

ყველა მორცხვად ეღიმება და თავსა ჰხრის.

თამადა ბატონობს.

— აბა, გაიმსეთ ჭიქები!

მორჩილებით ჭიქებს ავსებენ.

— ღმერთმა აცოცხლოს ყველასაგან პატივცემული და ყველასათვის საყვარელი ჩვენი მასპინძელი, თავისი მეუღლით!

— ღმერთმა აცოცხლოს, ღმერთმა აცოცხლოს!

— მე, როგორც თამადა, გიბრძანებთ, კნეინასთან მიბრძანდეთ, ხელზე ემთხვიოთ და სადღეგრძელო ისე მიირთვათ!

სტუმრები დგებიან და მოწიწებით კნეინას ხელზე ჰკოცნიან.

— შენ, ჩემო ძმაო, სავსე ჭიქა არ დაგილევია, ,,შტრაფი'' გეკუთვნის,—ერთს სტუმართაგანს ეუბნება თამადა და ღვინით სავსე ჭიქას ხელში აჩეჩებს.

,,დაშტრაფული'' დამნაშავის სახით თამადის გარდაწყვეტილებას ემორჩილება.

— აბა, გამხიარულდით სტუმრებო. ქალები მოწყენილნი არიან, ეს რა საკადრისია,—უნდა გავართოთ, სიმღერა მაინცა ვთქვათ... აბა, ნიკო, დაიწყე.

— მრავააავააალ ჟაამიიიერ,—გაუბედავად იწყებს ნიკო. სხვები ბანს აძლევენ, მაგრამ სიმღერა ვერ ეხერხება.

საცოდავად ეღიმებიან და სირცხვილით თავსა ჰხრიან.

— შენ ღვინოს იპარავ, ადე, აქეთ გადმოჯექი—უბრძანებს თამადა ერთს ყმაწვილს და ადგილს უჩვენებს, სადაც უნდა გადაჯდეს.

ყმაწვილი ორ გასათხოვარ ქალებს შუა ზის, ერთობა და ართობს მათ, მაგრამ ბრძანებას ემორჩილება და ერთის მოხუცებულის გვერდით ჯდება.

— ადექით!—ბრძანებს თამადა

დგებიან.

— დასხედით!

სხდებიან.

თამადას შესცქერიან, ნაზობენ, ჰშიშობენ, თავაზიანობენ. ვერც ჭამას, ვერც სიცილს, ვერც ლაპარაკს ახერხებენ. რა აბეჩავებთ ასე?

— რა ჰქენი, თამადა, ვერ გაამხიარულე? ეკითხება მასპინძელი.

— ვერ გავამხიარულე!

— აბა, ყველას ყანწი დაალევინე! ბიჭო, მოიტა ყანწი!

ბიჭს ყანწები მიაქვს, თამადა თვითონაც სვამს და სტუმრებსაც ასმევს.

სურათი იცვლება. ყანწი ერთი ხელიდან მეორეში სწრაფად გადადის. სტუმრები თამამდებიან და ლაპარაკს უმატებენ.

გადის ნახევარი საათი. თამადას ყურს აღარავინ უგდებს, ბრძანებას აღარ ასრულებს, თითქმის ეწინააღმდეგებიან კიდეც.

— გამიგონეთ, ბატონებო, ეს ღმერთმა აცოცხლოს...

ხმაურობაა... აღარავის ესმის სხა და ბაასი. ერთი ფილოსოფიას ებრძვის, მეორე ესამეს რაღასაც შესჩივის, ერთი „რეჩის" თქმას აპირობს.

— მოითმინეთ, მე ნება არ მამიცია!—თამადა პროტესტს აცხადებს.

— ბატონებო, მე მინდა...—არ იშლის ორატორი.

— ბძანეთ... ბძანეთ...

— მრაააავაალ ჟაამიიიერ,—მაღლის ხმით დაიწყო ვიღაცამ.

— შშშშ... მოითმინეთ, ,,რეჩს'' ამბობენ...

სიმღერა წყდება, ორატორი განაგრძობს:

— ბატონებო, ჩვენი ქვეყნიერება...

— რა დროს ,,რეჩებია''! თუ გინდათ, ღვინო დავლიოთ და ვიმხიარულოთ, არ გვინდა ,,რეჩი''.

სუფრაზე არეულობაა, ვინ რას ამბობს, რა უნდა სთქვას,—კაცმა არ იცის. ქალები წიწმატობენ, კაცები ჰყვირიან, ზოგი მღერის, ზოგი იცინის, ზოგი ტირის.

— მოითმინეთ, ბატონებო, ეს ღმერთმა აცოცხლოს...—თავისას არ იშლის თამადა.

— კნიაჟნა, ღმერთმა გაცოცხლოთ! კნიაჟნას სადღეგრძელო მიირთვით!

— გაუმარჯოს ჩვენს ,,კამპანიას"!!

— გაუმარჯოს საქართველოს!!!

— ბატონებო, ორი სიტყვის ნება მამეცით!

— დალიე, კაცო, დალიე...

— ტოლუმბაში ჩაჩჩალაააა, ვაარირააა!

აგერ ალიაქოთი და ყვირილი ასტყდა.

— ვის უბედავ შენ მაგას!—ჰყვირის ვიღაცა და ხანჯლით იწევს მეორეზე.

ღვინო იქცევა სუფრაზე, იატაკზე, თეფშები იმტვრევა, ჭიქები ილეწება. სახლი ზანზარებს, დაქცევას აპირობს.

ბინდდება, სტუმრები იშლებიან. მიდიან სახლებში იმ იმედით, რომ ხვალ ან ზეგ მასპინძელი მათ კიდევ დაჰპატიჟებს. ის კი არ იციან, რომ მასპინძელმა გულში გადასწყვიტა—თავის დღეში აღარ გაბრიყვდეს და ისინი აღარ დაჰპატიჟოს...

საზიზღარი, დამამცირებელი სურათი იყო. სტუმრებთან ერთად, მეც გაველ კარში და გადავწყვიტე, რომ გული აღარ გავიბოროტო და აღარც ერთს კრებას აღარ დავესწრო.

ს. ჟ.

საყოველთაო საარჩევნო უფლება *).

იმდენად პატარა ქვეყანა, რომ მის მართვა-გამგეობაში ყველა მის შვილს შეეძლოს პირდაპირი მონაწილეობის მიღება, დღეს შვეიცარიაშიღა დარჩენილა: ოთხ კანტონში (ური, გლარუსი, აპპენცელი და უნტერ-ვალდენი) თვით ხალხი, ქუდზე კაცი, განაგებს საქვეყნო საქმეებს, ამტკიცებს კანონებს, ირჩევს მოხელეებს და სხ. ასეთი წვრილი ქვეყნები სხვაგან არსად არის და, რადგან შეუძლებელია რომელისამე დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა ერთად შეკრება, ამიტომ ქვეყანას თვით ხალხი კი არა, მის-მიერ ამორჩეული დეპუტატები, დელეგატები, განაგებენ.

ფეოდალურმა, ბატონ-ყმურმა წესწყობილებამ სხვადასხვა წოდებად დაანაწილა ერი, და საშუალო საუკუნეებში ქვეყნის გამგებლად ამორჩეულნი წარმომადგენელნი, მთელი ერისა კი არა, რომელისამე წოდების წარმომადგენელნი იყვნენ: თავად-აზნაურობა თავის კაცებს ირჩევდა, სასულიერო წოდება—თავისას, ხალხი—თავისას. ამგვარად იქმნა არჩეული 1789 წელს საფრანგეთის

---

*) В. В. Водовозовъ: Всеобщее избирательное право на Западѣ.

მოწაფეთ ნუ დაითხოვთ მაისის 13-ამდისო და სამუშაო დღეც შეამცირეთო. გამგეობამ დაადგინა, ამ სასწავლებლის ყველა საჭიროებაზე სახალხო სკოლების დირექტორთან ერთად თათბირი გამართოს.

✦ იმ კომისიამ, რომელიც თავად-აზნაურთა სტიპენდიას ანაწილებს სტუდენტებს შორის, **გადასწყვიტა**, თუმცა უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად სწავლა შეჩერებულია, მაგრამ სტუდენტებს მაინც **მიეცეს სტიპენდიისთვის გადადებული ფულიო**. ამ აზრის მომხრე იყო 15 კაცი, მოწინააღმდეგე—3.

✦ 1-ლ აპრილიდან პარიზში დაიწყო **სხდომები** ევროპაში მყოფ **სომეხ სტუდენტთა კავშირისა**. კრებას 50-ზე მეტი წარმომადგენელნი ესწრებიან ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან. კავშირის კრება გასტანს 10 აპრილამდე, სულ უნდა წაიკითხონ 8 ლექცია. ერთი ლექცია ბაქოში მომხდარ ამბებს შეეხება („მშაკი“).

✦ გაზ. „მშაკ“-ში ვკითხულობთ შემდეგს: რადგანაც **ნამესტნიკი ახლო-მომავალში უნდა ჩამობრძანდეს კავკასიაში** და ახლა მრავალი კითხვა არის წამოყენებული გამოსარკვევად, ამიტომ სომეხ საზოგადოების წარმომადგენელნი შეკროვდნენ ტფილისში და უნდა შეიმუშავონ იმის პროგრამა, თუ როგორ დაუხვდნენ ნამესტნიკს და აგრეთვე მისთვის მისართმევად უნდა შეადგინონ პეტიცია, რომელიც შეეხება როგორც მთელ კავკასიას, ისე სომეხთა მდგომარეობააც.

✦ ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის პანსიონში ამ დღეებში მეშვიდე კლასის ერთმა რუსმა მოწაფე ქალმა თავის **მოკვლა განიზრახა და საწამლავი** დალია. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ერთ აღმზრდელ ქალს ეჭვი შეუტანია მის ზნეობაზე. მოწაფეების დაბარებით მოსულმა ექიმებმა ქალი მოაბრუნეს.

✦ სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიამ აცნობა მაზრის უფროსს—სოფელ პატარა-ლილოდან ჩვენს ლაბორატორიაში მოიყვანეს პირში **ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილი** სპირიდონ არჯევანიძის შვილი, რომელმაც ერთი ორი დღე იწამლა და მერე აღარ მოსულაო. ლაბორატორია სთხოვს მაზრის უფროსს, მოახდინეთ განკარგულება, რომ არჯევანიძე ისევ ლაბორატორიაში მოიყვანონ ხანგრძლივ საწამლებლადაო.

✦ ახალქალაქის მაზრიდან **ჩამოსულან დუხობორები და აპირებენ თხოვნა მიართვან მთავარ-მართებელს**, რომ იქიდან სხვა ალაგას გადაასახლონ. რადგან, სადაც დუხობორები სცხოვრობენ, ფრიად უნაყოფო ალაგი ყოფილა, დუხობორები დიდ გაჭირვებასა სთვლიან და ამბობენ: „თუ ეს თხოვნაც არ შეიწყნარა მთავრობამ, მაშინ სადმე უნდა გადავიკარგოთ, როგორც ჩვენი თანამოძმეებიო. სხვა ქვეშევრდომებს, ნემეცებსა და გადმოსახლებულს რუსებს ნაყოფიერი ადგილები დაურიგეს, ჩვენ კი ამისთანა უნაყოფო ალაგას დაგვასახლეს და სახნავ-სათესიც ნაკლებადა გვაქვსო.

შარშანაც მიუმართავთ ამ გვარივე თხოვნით გუბერნატორისთვის და მთავარ-მართებლისათვისაც, მაგრამ უარი მიუღიათ.

✦ **თუშ-ფშავ-ხევსურეთის მომრიგებელი შუა კაცი** გ. ი. ცისკარაშვილი დაინიშნა ახმეტის ნაწილის მომრიგებელ შუა-მავლად, ხოლო ახმეტის მომრიგებელი შუამავალი თავადი ჯორჯაძე გადაყვანილ იქმნა სიღნაღის მაზრაში.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ლედერმანი **ტფილისის გუბერნატორად ინიშნებაო**.

მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მოთხოვნილებანი.

როგორც ვიცით, მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია მემანქანეთა, მათ თანაშემწეთა, მესირეთა და ვაგონების გადამბმელთა გაფიცვისა გამო. 15 თებერვალს მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა წარუდგინეს ტფილისის დეპოს უფროსს თავიანთი მოთხოვნილებანი, მაგრამ დღემდე პასუხი არ აღირსეს და ამან გამოიწვია მათი გაფიცვა. მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მოთხოვნა შემდეგ მუხლებს შეიცავს: 1) მოგვემატოს ჯამაგირები, ან ბინის დასაქირავებელი ფული, რომელიც მოგვისპეს, ისევ დაგვიბრუნდეს; 2) თითოეულ ვერსზე მოგვემატოს 1/3 კაპ., ვიდრე ახლა გვეძლევა; 3) შეშას და ნავთზე დაწესდეს მუდმივი ნორმა, რომ ყველას შეგვეძლოს მივიღოთ ჩვენი კუთვნილი 7%, სხვა დეპოებზე დამოუკიდებლად. 4) აუცილებლად საჭიროა ლოკომოტივებზე გამართოს კონტორა-ბუდკები ზამთრობით, სკამები და სკამ-ლოგინები (ПОЛКИ) 5) მოისპოს მატარებელთა დაგვიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამისი ხელ-ფასი დაგვენიშნოს; 6) ნება მოგვეცეს პირადად მოველაპარაკოთ და განვუმარტოთ ჩვენი მოთხოვნილება-საჩივრები „ტიაგის“ სამსახურის უფროსსა და მისს თანაშემწეს და მოისპოს ამნაირ შემთხვევაში მსახურთა მოხსნება, როგორც აქამდე იყო; 7) ნება მოგვეცეს დავაარსოთ სამხანაგო სასამართლო, როგორც სხვა გზებზეა დაწესებული; გარდა ამისა, ნება ჰქონდეს ექსპერტებს, განიხილონ ჩვენი ამხანაგების ესა თუ ის საქციელი და რკინის გზის ადმინისტრაციისაგან გადაწყვეტილი სასჯელი.

გარდა ამისა, თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თხოულობენ კიდევ შემდეგს:

1) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მომატება 15%; 2) უფასო პირველ-დაწყებით სწავლის შემოღება, საშუალო სასწავლებლის დაარსება და გზაში მოსამსახურეთა ბავშვებისთვის პანსიონი; 3) საქონლის მატარებლების მემანქანეებმა თვეში უნდა გაიარონ არა უმეტეს 200 ვერსისა და სამგზავრო მატარებლების მემანქანეებმა არა უმეტეს 1000 ვერსისა, ამაზე მეტი თუ გაიარეს, ზედმეტ შრომაში ნახევარ ჯამაგირის მომატება. 4) დეპოს სამკითხველოსთვის მუდმივი სუბსიდია. 5) ეროვნების გაურჩევლად სამსახურში დაწინაურება. 6) საქმიო ნაწილის გაუმჯობესება; 7) ბინის ექიმობა უფასოდ. 8) მემანქანეებისა და მათის თანაშემწეების სავალდებულო დაზღვევა რკინის გზის ხარჯით; 9) პენსიის მიღება 15 წლის სამსახურისთვის.

სადღეისო

ძველი წესების მომხრენი

საზოგადოება არ არის კმაყოფილი ახლანდელ მდგომარეობით...

ძველი წესები ყველას მძიმე უღელივით აწევა კისერზე, ყველა ერთხმად გაიძახოდა: „ასეთი სიცოცხლე აღარ შეიძლებაო!“

ამას ახლაც იძახის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი...

მაგრამ აქა-იქ კიდევ მაგრად არის ფეხმოკიდებული ძველი დროს წესები და ამ წესებსაც ტაშს უკრავს ზოგიერთი განმარტოვებული მოღვაწე

ზოგან თავად-აზნაურობა თხოულობს ძველი წესების შერჩენას...

ზოგან სოფლელები, ადმინისტრაციის ბრძანებით, ხელს აწერენ თხოვნებს, —არ გვინდა ახალი წესიო.

ზოგან კიდევ ინტელიგენციის ერთი ნაწილი საპოლიტიკო მოქმედების ასპარეზზე გამოდის და თავის დროშაზე რეფორმების მაგიერად აწერს, ისევ ძველი წესები გვირჩევნიაო.

ერთის სიტყვით, ორ გზას შუა არის გაჩერებული საზოგადოების ცხოვრება.

რომელ გზას დაადგება იგი, რას აირჩევს?

ერთის მხრივ—ჩინოვნიკების ბატონობა, მათი თვითნებობა, მეორეს მხრივ კი კანონიერება, კანონის გაბატონება ..

ერთის მხრივ კანცელარიებში საჩუმოდ შემუშავებული კანონები, მეორეს მხრივ კი—ხალხისაგან მონაწილეობის მიღება სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში.

ერთის მხრივ ხალხის უმეტესობის უუფლებობა, ეროვნული და სარწმუნოებრივი მონობა, მეორეს მხრივ კი—ყველას თანასწორობა.

ერთის მხრივ განაპირა ქვეყნების გამგეობა პეტერბურგიდან, უკიდურესი ცენტრალიზაცია, მეორეს მხრივ—განაპირა ქვეყნების ავტონომია, თვითმართველობა, თავისუფლება.

რომელ გზას აირჩევს ხალხის უმეტესობა, რომელია უფრო სასურველი ხალხისთვის?

ძველ წესებს ზოგიერთი ემხრობა იმიტომ, რომ შეჩვევია მათ, შეისისხლხორცა და ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ცხოვრების უკეთესად მოწყობა.

ესენი მხოლოდ თანაუგრძნობენ ძველ წესებს, ახალ წესების საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მათ არ უნდაი, უმოქმედობას შეჩვეულნი ამ მოქმედებასაც გაურბიან, —განზე არიან გაჩერებული.

სამაგიეროდ სხვები პირდაპირ ბრძოლას უცხადებენ ახალ მიმართულებას.

ძველი წესები ბევრ უსაქმურ, უვარგის ადამიანს ლუკმა-პურს აძლევდა...

ხალხის ქონება, ხალხის ოფლითა და შრომით მონაგები ფული, გადასახადის სახით ხაზინაში გადაცემული, მათ შენახვას უნდობოდა, უკონტროლოდ იხარჯებოდა, —კანცელარიებში გაბატონებული „ჩინოვნიკები“ ჰფლანგავდნენ ხალხის ქონებას და ამაზე ხმის ამოღებაც კი არ შეეძლო არავის..

იტაცებდნენ ყველაფერს, რისი მოტაცებაც შესაძლო აყო.

იტაცებდნენ ფულს, უძრავსა და მოძრავ ქონებას, შემოსავლიან და გავლენიან ადგილებს, ჩინებს, ორდენებს, პრივილეგიებს...

კერძო პირთა სარგებლობის გულისთვის ივიწყებდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას.

როდესაც სოფლის მამულმა ვეღარ დააკმაყოფილა თავად-აზნაურობა, —სახელმწიფო სამსახურს მოჰკიდა ხელი; როდესაც აღარ შეიქმნა თავისუფალი ადგილი სახელმწიფო სამსახურში, —ახალ-ახალი ადგილები გამოიგონეს, გაამრავლეს ჩინოვნიკობა, გააძლიერეს ბიუროკრატია, სახელმწიფოს ფულით სამსახურში ინახავდნენ ყველას, ვისაც არ შეეძლო კერძო შრომით თავის რჩენა.

ხაზინა, სახელმწიფო სამსახური გემრიელ ლუკმად გადაიქცა, ყველა უნიჭო, უსაქმურ ადამიანისთვის. ხალხის სარგებლობა, ხალხის ათასნაირ საჭიროების დაკმაყოფილება არ აწუხებდა არავის. ან ვის გაახსენდებოდათ იგი, როდესაც ჯამაგირისთვის ივიწყებდა ადამიანი მოძმეს, ივიწყებდა სამშობლოს, ივიწყებდა ხშირად პატიოსნებას...

ჩინოვნიკობამ «პატრიოტობაც» თავის პრივილეგიად გამოაცხადა!..

ჩინოვნიკობა აცხადებდა, ხალხის საკეთილდღეოდ ვიღებო ყოველ ოც რიცხვში ჯამაგირს...

ხალხის საკეთილდღეოდ ვშოულობ ჩინებს, ყოველგვარ ორდენებს და, ვინც არ დაიჯერებს ჩემ სიტყვას, —ის გამცემი, მოღალატეა!

სამსახურში დაწინაურებას ცდილობდა ყველა, საამისოდ არ იყო საჭირო ნიჭი, საქმიანობა, შრომა, —საკმარისი იყო უფროსის გულის მოგება მორჩილებით, პირფერობითაც...

უფროსის ყოველ სიტყვაზე დაწინაურების მსურველს უნდა მიეგო უთუოდ: „მიბრძანე, ჩემო ბატონო!“

და ბატონიც უბრძანებდა რასმე და კმაყოფილების ნიშნად მოწყალე თვალით გადახედავდა თავის „ნიჟიერ“ ხელქვეითს.

ამნაირ „ნიჟიერ“ პირთა ხელში იყო საზოგადოება, —მშრომელი, დამოუკიდებელი ხასიათის პატრონი ვერ გამოჩნდებოდა ვერსად, მისთვის სამუდამოდ იყო დახშული სამსახურის კარები.

ძლიერი, უძლეველი იყო ბიუროკრატია და ხალხი კანცელარიებში მორჩილად ქედს იხრიდა და ხვეწნა-მუდარით სთხოვდა საქმის შესრულებას ამ ბიუროკრატიის წვრილ-წვრილ წარმომადგენლებს, წვრილ-ფეხა ჩინოვნიკობას, რომლის ხელში იყო ჩავარდნილი მთელი ხალხის ბედი და იღბალი.

ძველი წესების შეცვლით უნდა მოისპოს ბატონობა და შემოსავალი ამ აუარებელ ჩინოვნიკობას...

ხალხის უუფლებობას შეჩვეული ბიუროკრატია შეშინებული თვალით უყურებს ამ ჟამად ხალხის გამოფხიზლებას.

ძველი წესების ბატონობის დროს და მის ბატონობის გამო კმაყოფილი და მაძღარი პირები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ იმისთვის, რომ ერთხანს კიდევ შეირჩინონ წინანდელი მდგომარეობა, ვინაიდან იციან, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა, ახალ წესების გაბატონება მათ დასცემს ქონებრივად და ზნეობრივ გავლენასაც სამუდამოდ მოუსპობს ხალხში.

ამიტომ არის, რომ ახალ მიმართულებას წინ ეღობებიან ახლა პირად ინტერესებით შეკავშირებული ბნელეთის ძალები და უნდათ მოსპონ ახალი ცხოვრების წყარო.

მაგრამ შეუძლებელია ძველი წესების შერჩენა იქ, სადაც ახალმა მიმართულებამ უკვე შემოსდგა ფეხი და სადაც ხალხმა უკვე შეიგნო არსებულ მდგომარეობის უვარგისობა...

ისტორიამ უკვე წარმოსთქვა თავისი მსჯავრი.. იწყება ახალი ხანა...

რუსეთი

— ტომსკის ქუჩებში ხელმეორედ გაკრულია გუბერნატორის დადგენილება, რომლის ძალით **აკრძალულია** ქუჩებში, სახლებში, ეზოებში კრებებზე და სხვაგან ხალხის შეყრა (პ.).

— პეტერბურგში პროფესორმა ბერნაცკიმ წაიკითხა ფრიად საინტერესო ლექცია: „თ-დ ბისმარკის საზოგადოებრივ-ეკონომიური მსჯელობანი“. მეორე ლექცია მთავრობამ **აკრძალა** (პ.).

— ვარშავის გუბერნატორმა მაღაზიებში ყოველგვარ იარაღის გაყიდვა **აკრძალა**. რაც მაღაზიებში იარაღი იყო, პოლიციამ ყუთებში ჩააწყო, დაბეჭდა და თვითონ მაღაზიებიც დაკეტა (პ.).

— ვარშავაში ერთ სასაფლაოზე პოლიციამ **ყუმბარების საწყობი** იპოვა. საწყობებში აუარებელი ყუმბარა იყო. იმავე ღამეს პოლიციამ ქალაქი დაიარა და ბევრი დააპატიმრა (პ.).

— 14 მარტს რეველში პოლიციამ **საიდუმლო სტამბა** აღმოაჩინა. სტამბაში სარევოლიუციო წიგნები, პროკლამაციები და ამგვარი ლიტერატურა იბეჭდებოდა (პ.).

— 22 და 23 მარტს პოლიციამ ვარშავის განაპირა უბნები დაიარა და 77 კაცი დააპატიმრა. ამასთან პოლიციამ ბევრი **პროკლამაცია და იარაღი** აღმოაჩინა (პ.).

— პოლიციას არც რიგაში სძინავს: 23 მარტს ერთ მიყრუებულ ქუჩაზე **საიდუმლო სტამბა** აღმოუჩენია (პ.).

— რიგაში წესიერება ჯერაც ვერ აღუდგენიათ. ქუჩებში ყოველ დღე **ხალხი იკრიბება, რევოლვერებს ისვრიან** და პოლიციას არ ასვენებენ. ქუჩებში ეხლა პოლიციის მაგივრად ჯარი სდგას. მუშებიც ხელახლა გაიფიცნენ. ნავთსადგურში სამარისებური სიჩუმეა. ურმები დგანან და საქონლის დატვირთვას ელიან, ან ცარიელები მიდიან, ან მოტანილი საქონელი უკანვე მიაქვთ (რ. ს.).

— ყუბანის ოლქში ვოზნესენსკის სტანიცაში ერთ დილას კაზაკებმა დაინახეს, რომ ძელზე **უშველებელი წითელი დროშა** ფრიალებდა. დროშაზე ეწერა, **„გაუმარჯოს თავისუფლებას“**. კაზაკებმა კარგა ხანს სინჯეს დროშა, რომელიც ურიადნიკმა ჩამოიღო და, სადაც ჯერ არს, წარადგინა. კაზაკებში ამის გამო თურმე ეხლაც დიდი მითქმა-მოთქმაა (პ.).

— „პრივ. კრაი“-ში ბოსიაკებმა საინტერესო წერილი დაბეჭდეს. ბოსიაკები სწერენ: ერთ კრების ანგარიშში ნათქმია, ვითომ „ვიღაც ბატონი“ ჩვენს თავშესაფარში შემოსულიყოს და ჩვენთვის **სტუდენტების ცემა** ერჩივნოს და თითო ნაცემ სტუდენტში ერთი მანეთი ეძლიოს; ვითომ ჩვენ „თითო სულზე“ 50 თუმანი მოგვეთხოვოს და სხ.; ამ ბრალდებამ ჩვენ, ბოსიაკებს, გული აგვიმღვრია და ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, გამოაცხადოთ, რომ ჩვენ თითო სულზე 50 თუმანი არ გვითხოვნია, მოლაპარაკება არც კი დაგვიწყია და „ვიღაც ბატონი“ პირდაპირ ცივის უარით გავისტუმრეთ. თუმცა ჩვენ ნაძირალები (бывшіе люди) ვართ, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმდენად არ დაგვიკარგავს სინდისი, რომ ამნაირი სისაძაგლე ჩავიდინოთ. გთხოვთ—ეს საქვეყნოდ განაცხადოთ, რათა ჩვენ „ვიღაც ბატონებს“ არ შეგვადარონ (პ.).

— მელიტოპოლის ქალაქის საბჭომ დაადგინა: რადგან პოლიცია საზოგადოებას არ იცავს, ამიტომ ჩვენ თავზე ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ და მოქალაქეთა დასაცავად **მილიცია შევადგინოთო**. ასეთივე დადგენილება მიუღიათ ალექსანდროვსკისა, მარიუპოლისა, იალტისა და სხვა ქალაქების საბჭოთ (პ.).

— კრასნოიარსკში ხალხის განათლების საზოგადოების კრების დროს დაადგინეს: დაუყოვნებ-

საერო კრება, რომელმაც აღიარა ადამიანთა თავისუფლება, თანასწორობა და ერთობა. ამ პრინციპის ძალით, ადამიანს პოლიტიკური უფლება აქვს იმიტომ, რომ შვილია თავის ქვეყნისა, და არა იმიტომ, რომ თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნის, ან სამღვდელოებას და ხალხს. მაგრამ საერო კრებამ უკლებლივ ვერ განახორციელა ეს დიდებული პრინციპი და, დამფუძნებელ კრებას რომ ირჩევდა, გამოაცხადა: ამორჩევის უფლება აქვს ყველას, ვინც წლიურ ხარკს იხდის არა ნაკლებ მუშის სამი დღის ნამუშავარისაო. ამგვარად, სამშობლოს გამგეობაში მონაწილეობა მამულისშვილს კი არ მიანიჭეს, განურჩევლად მის სიმდიდრის და სიღარიბისა, არამედ მარტო ხარკის გადამხდელთ. ამ სისტემას, რომელიც დღემდე ძალაშია ზოგიერთ ქვეყნებში, მაშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და ამტკიცებდნენ, პოლიტიკური უფლებანი ადამიანს ეძლევა და არა იმის სიმდიდრესაო.

ამ ბოლოს დროს აქა-იქ მაინც გაიმარჯვა ამ მოძღვრებამ, სახელდობრ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში და გერმანიის სამეფოთა საზოგადო პარლამენტის წევრთა ამორჩევაში. ბელგიამ კი ვერც სამართლიანი პრინციპი იუარა, ვერც შეძლებულ კლასს აწყენინა და დააკანონა, ოცდა ერთის წლის ბელგიელს ყველასა აქვს ამორჩევითი უფლება, მაგრამ მამულის პატრონს და სახელმწიფო შემნახველ კასსაში შეტანილ ფულის პატრონს კი ორი და ხშირად სამი ხმა აქვსო.

ამორჩევითი უფლება რომ საყოველთაო უნდა იყოს, —ცხადია, რადგან მამულიშვილს ვერავინ მოუსპობს თავის პოლიტიკურ უფლებებს მარტო იმიტომ, რომ ღარიბი არის. საქმე ის არის, ვინ უნდა იყოს ჩარიცხული ამომრჩეველთა სიაში? ხომ არ შეიძლება, მაგ., ჩვილ ყრმათ მიეცეს პოლიტიკური უფლება, ან შეშლილთა ან იმისთანა საქციელის ჩამდენთ, რომელთაც სასამართლომ აჰყარა ყოველივე უფლება. მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდებიან ხალხის წარმატების მტერნი, სხვაფრივაც ცდილობენ ხალხის უფლებათა შეზღუდვას და იმისთანა საბუთებს ხმარობენ თავის სამარცხვინო განზრახვის დასაფარავად, რომელნიც კრიტიკის შეხებასაც კი ვერ უძლებენ.

ხალხი უმეცარია, განუვითარებელია, ავისა და კარგის გარჩევა არ შეუძლიაო... ჯერ ასწავლეთ, გონება და ზნეობა განუვითარეთ და მერმე პოლიტიკური უფლებანი მიანიჭეთო, —ბრძანებენ საყოველთაო საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგენი. სწორედ ამ სიტყვითვე, ამ ლექსითვე ამტკიცებდნენ ამერიკელი ზანგთ-პატრონები ზანგთა განთავისუფლების უსაფუძვლობას: ჯერ განავითარეთ და მერე გაანთავისუფლეთ, თორემ პირუტყვები არიან, ამათ თავისუფლებისა არა იციან-რაო! მაგრამ განთავისუფლებულ იქმნენ ზანგები და სამაგალითოდ, თავიანთ ნაბატონრებზედ უკეთ ისარგებლეს თავისუფლებითაც და პოლიტიკურ უფლებითაც. ყოველთვის ასე ყოფილა და კვლავაც ასე იქნება: საცა კი ხალხს უფლება ჰღირსებია რამე, სავანგებოდ გამოუყენებია, არ უღალატნია საზოგადო ინტერესებისთვის და საქვეყნო საქმე, წარჩინებულ წოდებათა უკეთ თუ არა, უარესად არ მოუწყვია.

პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილი მხოლოდ სრულწლოვანნი უნდა იყვნენ, რადგან მონაწილეობას იღებენ სამშობლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კანონმდებლობაში. ეს ადვილი გასაგებია; ძნელია განსაზღვრა, რა ხნიდან უნდა ჩაითვალოს ადამიანი სრულ-წლოვანად. თითქმის ყველგან, საცა კი ამორჩევითი უფლებით სარგებლობს ხალხი, სრულწლოვანად ოცდაერთის წლისას სთვლიან კაცს (შვეიცარიაში ოცის წლისას), ოღონდ ზოგან ამ სრულწლოვანებას ორ მნიშვნელობას აძლევენ—პოლიტიკურსა და მამულიშვილურს: ოცდა-ერთის-წლის ჭაბუკი უკვე იმდენად განვითარებულია, რომ შეგნებით მოიხმარებს თავის უფლებას, მაგრამ იმდენად კი არ არის ჯერ მომზადებული, რომ საზოგადოებრივი, საერო მოთხოვნილებანი გაითვალისწინოს და ღირსეულად ემსახუროს სამშობლოსაო. ამ მოსაზრებისა გამო გერმანიისა, ბელგიისა და სხ. კონსტიტუციები ამორჩევის უფლებას ოცდაერთის წლის კაცს აძლევენ, მაგრამ ამორჩეული კი ოცდახუთის წლისა მაინც უნდა იყოს (დანიაში ოცდა ათისა).

ამგვარ გაორკეცებას სრულწლოვანებისას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს მათ შორის, რომელნიც ცდილობენ, რომ თვით ხალხი განაგებდეს თავის ცხოვრებას: უანგარო, თავგანწირული მამულიშვილობა მარტო სიყმაწვილემ იცის, როდესაც ადამიანი ალტრუისტულ და საზოგადოებრივ გრძნობით არის გატაცებული; ხანში შესული კაცი, ოჯახისა და წვრილშვილის პატრონი, ეგოისტია, პირადი ინტერესებით დაჯაბნული და, მაშასადამე, ვერც ისეთს სამსახურს გაუწევს ქვეყანას, როგორსაც ჭაბუკიო, —ამტკიცებენ.

პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი ქალი დღემდე მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში არის, ავსტრალიაში და ახალზელანდიაში. სხვაგან ყველგან მარტო კაცი განაგებს საზოგადო და სახელმწიფო საქმეებს და ქალს არავითარ მონაწილეობას არ უთმობს. ამ ორმოცდაათის წლის წინად ქალებს გამოესარჩლა გამოჩენილი ჯონ სტუარტ მილლი; მას შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა გაუწიეს ქალებს მფარველობა და, სხვათა შორის, ისიც მოაქციეს თავიანთ პროგრამაში, რომ ქალი და კაცი სრულიად თანასწორნი უნდა იყვნენ უფლებებით; მაგრამ აწინდელი საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ქალების პოლიტიკაში ჩარევისა და დასამტკიცებლად ამისა ორი მოსაზრება მოჰყავთ:

კაცი საზოგადოებას ეკუთვნის, ქალი—ოჯახს; პოლიტიკურ ცხოვრებაში რომ ჩაერიოს ქალი, პირდაპირს თავისს დანიშნულებას უღალატებსო... ისიც ტყუილია, ვითომ ქალის ჩამორევა პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის სიმკაცრეს მიასუსტებს: ქალი გონებას კი არა, უფრო გრძნობას ემორჩილება და იმისთანა ცეცხლს წაუკიდებს პარტიათა ბრძოლას, რომ შიგ ჩასწვავს თავის ქალობასაო.

მეორენი კი ძველს საბუთს ხმარობენ: ქალი ნაკლებად არის განვითარებული, გონებრივადაც და პოლიტიკურადაც და, თუ პოლიტიკური უფლება მიეცა, დეპუტატთა საერთო სულიერი ძალა დასუსტდება... კათოლიკეთა ქვეყნებში კლერიკალური, სარწმუნოებრივი, გავლენა გაძლიერდება, რადგან კათოლიკეთა პატრებს ქალებზე უფრო მეტი გავლენა აქვთ, ვიდრე კაცებზედაო.

პირველს უფრო კონსერვატორები გაიძახიან; მეორეს კი მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა და ხშირად თვით სოციალ-დემოკრატებიც; ამ რამდენისამე წლის წინად ბელგიის მართებლობას უნდოდა მიენიჭებინა ქალებისთვის ამორჩევითი უფლება, მაგრამ, პატრებისა და იმათ გავლენის შიშით, სოციალ-დემოკრატებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, ჯერ ადრეა, მღვდლების სათამაშოდ გახდიან ქალები პარლამენტსაო, და გაიმარჯვეს კიდეც.

აწინდელი კონსტიტუციები ყველა სრულწლოვან კაცს არ ანიჭებენ ამორჩევითი უფლებას; გერმანიაში, მაგ., ვერც აირჩევს და ვერც არჩეულ იქნება:

1) ვისაც მზრუნველი ჰყავს მიჩემებული;

2) ვისაც კოტრად აღიარებს სასამართლო;

3) ვისაც უკანასკნელის წლის განმავლობაში საზოგადო, ქველმოქმედების ხარჯით უცხოვრია;

4) ვისაც სასამართლო პოლიტიკურ უფლებას აჰყრის.

გარდა ამისა, თუმცა კონსტიტუციით არ არის ეს აკრძალული, მაგრამ ყველგან არის დაკანონებული, რომ ჯარში, ფლოტში და პოლიციაში მოსამსახურენი მოკლებულნი არიან არჩევითი უფლებას; საფრანგეთში კი, ამათ გარდა, მოხელეებსაც არა აქვთ ეს უფლება.

საფუძვლად მოსამსახურე პირთა უფლების ამგვარ შეზღუდვისა იმას ასახელებენ, რომ ერის წარმომადგენელთა არჩევნები მშვიდობიანად არსადა ხდება; პარტიული ქიშპობა და ბრძოლა ვნებათა ღელვას ჰბადავს და, რადგან ჯარი, მოხელენი, პოლიცია, მართებლობას უნდა ემსახურებოდეს და არა რომელსამე პარტიას, არც პოლიტიკაში უნდა ჩაერივნენო. ჯარისა და პოლიციის თანაგრძნობით გამძლავრებულმა პარტიამ, შეიძლება, ძალას მიმართოს და ძალით დაისაკუთროს მართებლობაო... დეპუტატებად არჩეული მოხელეები ყურმოჭრილი ყმანი იქნებიან მართებლობისაო... დროსა და გარემოების მიხედვით, იქნება საფუძველიც ჰქონდეს ამ მოსაზრებას, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ხალხს დიდი რიდი და სიფთხილე აქვს საზოგადოდ საქმეებისა და ყოველთვის ღირსეულ წარმომადგენლებს აირჩევს, ოღონდ თავისუფალი იყოს ამორჩევითი ბრძოლა: სრული თავისუფლება ჰქონდეს, წერით თუ სიტყვით, თავისუფლად განიხილოს კანდიდატების ღირსებანი და ნაკლულევანებანი; თუ ეს თავისუფლება აქვს ხალხს, თავის დღეში არ შესცდება და თავის წარმომადგენლად უღირსს არავის აირჩევს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ხალხის საარჩევნო უფლების შესაზღუდავად ხმარობენ: ამომრჩეველთა სიაში მარტო იმათ მოაქცევენ, ვინც დადგენილ ხნის განმავლობაში ცხოვრობს ამა თუ იმ ადგილს, ინგლისში ერთი წელიწადია გადაწყვეტილი, საფრანგეთში ექვსი თვე. შეძლებულ კაცს, თუნდა სულ მგზავრობაში ატარებდეს თავის სიცოცხლეს, ეს გარემოება არას ჰკლებს: ბინა აქვს და ამ ბინით არის სიაში ჩარიცხული; მუშა კაცი კი ბინას იქ დაიდებს, სადაც სამუშაოს იშოვის; წელიწადში ხშირად სამჯერ, ოთხჯერ იცვლის ბინას და თავისდა უნებურად ჰკარგავს თავის პოლიტიკურ უფლებას.

დემოკრატიის, ხალხის, გასაძლიერებლად დადგენილი ამორჩევითი უფლება უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი.

თანასწორობა ამორჩევითი უფლებისა მოითხოვს, რომ ამომრჩეველს ყველას თანასწორი ხმა ჰქონდეს; კაცზე ხმაო, ამბობენ ამ შემთხვევაში ინგლისელები. ყველა კონსტიტუციები, რომელთაც საფუძვლად ხალხის კეთილ-დღეობა აქვთ, —საფრანგეთისა, შვეიცარიისა, შეერთებულ შტატებისა, —ფარულ არჩევანს აკანონებენ; მაგრამ სადაც კონსტიტუცია იმ განზრახვით არის შედგენილი, რომ შეძლებულთ დაეხმაროს, —პრუსიისა, ავსტრიისა, —ამორჩევაც დაუფარავად ხდება და ხელს უწყობს წარჩინებულ კლასს, რადგან მიწასთან გაასწორებენ იმ თავხედს, რომელიც გაკადნიერდება და მათს საწინააღმდეგოს მიემხრობა რასმე.

ხალხის მონაწილეობის შესამცირებლად ერთ ხრიკს კიდევ ხმარობენ მისნი მოწინააღმდეგენი: ხან ამომრჩეველთა სიმრავლეს ბრძანებენ, ხან მათ მოუმზადებლობას და პირდაპირ ხალხს არ არჩევინებენ თავის წარმომადგენლებს; ხალხი სანდო პირთ ირჩევს და ეს სანდო პირნი კი დეპუტატებს. ამგვარ გაორკეცებას ამორჩევისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ტყუილად აძნელებს პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას, რადგან სანდო პირთ ხალხი მარტო იმ პირობით ირჩევს, რომ დეპუტატებად ხალხის მიერ დასახელებულნი პირნი აირჩიონ და არა სხვანი. ამ უმნიშვნელობის გარდა, დიდი ნაკლულევანება აქვს ამ ფანდს: სანდო პირნი აირჩია ხალხმა; ერთს მისცა 89 თეთრი და 1 შავი! მეორეს 51 თეთრი და 49 შავი; სანდო პირთა კრებაზედ კი თითო და თანასწორი ხმა აქვთ ორივეს, 99 კაცის წარმომადგენელსაც და 51 კაცისასაც. ხშირად მოხდება ხოლმე, დეპუტატს სანდო პირთა უმრავლესობა, ირჩევს, მაგრამ, რომ იანგარიშოთ ამ უმრავლესობის თეთრი კენჭი, ხალხისაგან მიცემული ნაკლები იქნება, ვიდრე მის მოწინააღმდეგე უმცირესობისა და ამგვარად დეპუტატი ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა უმრავლესობის წარმომადგენელი კი არა, უმცირესობის წარმომადგენელია.

ივ. მაჭავარიანი.

ბლივ მოვითხოვოთ პოლიტიკურ რწმენის გამო **დასჯილთა განთავისუფლებაო.** ერთმა ორატორმა კრებას სთხოვა, პატივი ვცეთ [illegible] მულთ, რომელთაც თავიანთ გვამებითა და ტანჯვა-წვალებით ჩვენ მომავლისკენ გზის გაკაფვა გაგვიადვილესო. საზოგადოება ზეზე წამოდგა, ჯერ ცოტა ხანს სდუმდა, მერე კი ათის [illegible] განმავლობაში ტაშის კვრა არ შეუწყვეტია (ვ.)

— განსვენებულ დიდ მთავარს სერგი ალექსანდროვიჩს ძეს დარჩა სარჩო-საბადებელი, რომელიც 430 **მილიონ** მანეთად არის დაფასებული (რ. ვ.).

— ვარშავის უნივერსიტეტი დაკეტეს, სტუდენტები კი გამოყარეს,—სადაც გინდათ, წადითო. სტუდენტებმა იფიქრეს და გადასწყვიტეს, მთელ პოლონეთში დავიფანტოთ, ფაბრიკა-ქარხნებში შევიდეთ, ვიმუშაოთ და მუშებშიაც ცოტა სინათლე შევიტანოთო, მაგრამ **ბურჟუაზიას სინათლისა შეეშინდა**: მექარხნეები სტუდენტებს არ იღებენ და თავს იმით იმართლებენ, რომ სამუშაო არა გვაქვსო. სტუდენტებმა გადასწყვიტეს, ოღონდ ქარხნებში შეგვიშვან და მაგითი ჯამაგირი არ გვინდა, სულ უფასოდ ვიმუშავებთო, მაგრამ ვერც ამით გახდნენ რასმე და ამრიგად ბურჟუაზიის მეოხებით, მუშაობას მოსურნე რამდენიმე ასი სტუდენტი [illegible] ხელ-ფეხ შეკრული დარჩა (რ.).

— კოსტრომაში ვინმე მექარხნე „პატრიოტმა“ პ—ვმა თავის ქარხნის მუშების წინ „პატრიოტული“ სიტყვა წარმოსთქვა და მუშები სამშობლოს დასახსნელად მოიწვია. სცემეთ სტუდენტებსა და მეამბოხე მუშებსაო,—ურჩია მექარხნე და ამ შრომისთვის შემდეგი **ნიხრი დააწესა**: თითო ნაცემ სტუდენტში მოგცემ 1 მანეთს, გიმნაზისტში—50 კაპ., მუშაში—30 კაპ., პატრიოტულმა სასყიდელმა მეორე დღესვე ნაყოფი გამოიღო: „პატრიოტებმა“ რამდენიმე ინტელიგენტსა, სტუდენტსა, გიმნაზისტსა და მუშას სცემეს და შესაფერი ჯილდოც მიიღეს: ნაცემ სტუდენტში—1 მ. გიმნაზისტში—50 კაპ., მუშაში—30 კაპ. (ჩ. ვ.).

— ამას წინად კობეკოს კომისიამ გადასწყვიტა: ყოველი დაბეჭდილი წიგნი სამეცნიერო აკადემიას უნდა გადაეცეს გასასინჯად და, თუ აკადემიამ მოიწონა, გასასყიდად გამოვიდესო. აკადემიამ უპასუხა, აკადემია სამეცნიერო დაწესებულებაა და **ენატანიობასა და აზრის შევიწროებას ვერ იკისრებსო.** ეხლა იგივე კობეკოს კომისია იმავე აკადემიას შეეკითხა, როგორა გგონიათ, ნება უნდა მიეცეს თუ არა მალოროსებს თავიანთ ენაზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემისაო? აკადემიამ უპასუხა: მალოროსებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ ენაზე **გაზეთებიც ბეჭდონ, წიგნებიც**, თავიანთ ენაზე ილაპარაკონ და სწერონო (რ. ვ.).

— პეტერბურგის საბჭომ 9 იანვარს დახოცილ მუშათა ოჯახების სასარგებლოდ ფული გადასდო. ამის გამო საბჭოში ერთმა ხმოსანმა—კუდრიაცევმა—შემდეგი განცხადება შეიტანა: ამით ვაცხადებ, რომ მე, როგორც რუსი, არ თანავუგრძნობ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს 9 იანვარს **დახოცილ მეამბოხეთა** ოჯახებსო. (რ. ვ.).

თეატრი და ხელოვნება

სომხური წარმოდგენა.

სამშაბათს, 5 აპრილს, საარტისტო საზოგადოების თეატრში, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასმა, ქ-ნ სირანუიშის საბენეფისოდ, წარმოადგინა პირველად სომხურს სცენაზე ხაზე ეჯეგარიანის ოთხმოქმედებიანი პიესა „მარიანა“.

პიესა საინტერესოა, ეხება თანამედროვე ცხოვრების მწვავე საკითხებს და, საზოგადოდ, კარგადაც ნაწერია. საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთ როლები ქ-ნმა სირანუიშმა და ბ-ნთ აბელიანმა და პეტროსიანმა, მეტადრე მესამე მოქმედებაში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

კარგები იყვნენ აგრეთვე ქ-ნნი ადამიანი, მელიქიანი და ბ-ნნი ავეტიანი და ოჯახიანი. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდის ოვაციებით მიიღო მობენეფისე, რომელმაც რამდენიმე საჩუქარი მიიღო.

მთარგმნელის საყურადღებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ პიესა კარგის სომხურ ენით ვერ არის თარგმნილი.

დღეს, 7 აპრილს, წარმოდგენილი იქნება, პირველად სომხურ სცენაზე, 4-მოქმედებიანი დრამა გ. ფაფაზიანისა, „კლდე“.

პარასკევს, 8 აპრილს, მთელის დასის სასარგებლოდ ითამაშებენ, თ-დ სუმბათაშვილის ცნობილ დრამა-ლეგენდას „ღალატს“ და ამით გათავდება წლევანდელი სეზონი.

ბიბლიოგრაფია

მიქელ თამარაშვილი. პასუხად სომხის მწერლებს. ტფილისი 1904 წ.

ავტორმა „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“ ეხლახან გამოსცა კიდევ უფრო შესანიშნავი წიგნი—„პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“. ეს გამოკვლევაც დამყარებულია მრავალს ისტორიულს საბუთსა და წყაროზედ, რომელნიც ავტორს ამოუკრებია ევროპის ქალაქების არქივებიდან. წინასიტყვაობაში ავტორი გაგვაცნობს მკითხველებს საბაასო საგანს. სამწუხაროდ, წინასიტყვაობაშიაც და თვით მოთხრობაშიაც ავტორს აკლია მეცნიერის შესაფერი სიდინჯე, ხშირად მისი ნათქვამი მეტად ცხარე კილოზეა დაწერილი, საწყენი მის მოკამათეებისათვის, თუმცა და მისი მოკამათეებიც, როგორც სჩანს წიგნში ჩართულ ციტატებიდან, შეუფერებელს კილოზე სწერენ ქართველების წინააღმდეგ. კრიტიკა ყოველთვის საჭიროა, მაგრამ თავდაჭერილი, მიუდგომელი, ფილოსოფიური.

ჩვენი ავტორი განიხილავს შემდეგ კითხვებს: ა) სომხის მწერლების მიერ უსაფუძვლოდ ქართველ კათოლიკების უარყოფა, ბ) იმავე მწერლების-მიერ ქართველ კათოლიკების მტრობა-დევნა, გ) სომხების გადმოსახლება საქართველოში და დ) სომხის ზოგიერთ მწერლის ცრუ აზრები. მაგალითების მოყვანას აქ არ გამოვეკიდებით. მამა მიქელ თამარაშვილის წიგნი შეიცავს მრავალს მასალას შესახებ კათოლიკობის გავრცელებისა და დამყარებისა საქართველოსა და სომხეთში. ამ მასალის გაცნობა ერთნაირად საჭიროა ქართველისთვისაც და სომხისთვისაც. რაც უფრო მეტი შეიკრიბება ამგვარი მასალა, იმდენად გაადვილდება გამორკვევა და გათვალისწინება კათოლიკობის განვლილ გზა-კვლისა ჩვენში. ხოლო მწერალმა სარჩულად უნდა დაუდოს მოწინააღმდეგის ღრმა პატივისცემა, სამშვიდით აწონ-დაწონვა ყოველის მასალისა და საბუთისა.

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

გორი. აქაური სასწავლებლები თითქმის ყველა დაკეტილია. ამჟამად მხოლოდ მოსამზადებელ კლასების მოსწავლენი სწავლობენ. დიდებს რამდენჯერმე წინადადება მისცეს, სწავლა დაიწყეთო, მაგრამ არც ერთმა მათგანმა სწავლის დაწყება არ მოისურვა. მიზეზი სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა ღელვისა იგივეა, რაც სხვა სასწავლებელში.

აქ ოთხი-ხუთი დღის წინად იყო ეპისკოპოსი ექვთიმე, რომელსაც სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა მოძრაობის გამოკვლევა ჰქონდა მინდობილი. ეპისკოპოსმა მოსწავლეებს სწავლის დაწყება მოსთხოვა, მაგრამ სწავლა მაინც არავინ დაიწყო. ეპისკოპოსი წავიდა და სასულიერო სასწავლებლის თითოეულს მასწავლებელს დაავალა, წერილობით მაცნობეთ, თქვენის აზრით, მოსწავლეთა ღელვა-მოძრაობა რამ გამოიწვიაო. თითქმის ყველა მასწავლებელმა ერთი და იგივე დასწერა იმ ქაღალდზე, რომელიც უკვე გაუგზავნა ეპისკოპოსს. მიზეზი მოსწავლეთა ღელვის ამ ჟამად ისიაო,—არის ის, რაც საზოგადოდ მთელის რუსეთის მოძრაობას დაედო სარჩულად.

სათავადაზნაურო სასწავლებელში სწავლა დაიწყო, მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი ერთი მესამედ არის შემცირებული. სასწავლებლის გამგეობამ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისგან მიიღო მოწერილობა: სასწავლებელში სწავლა არ შესწყვიტოთ, თუ თითო კლასში ერთი მოსწავლე მაინც იქნებაო.

[illegible] ჩამტვრეული ფანჯრები ხელახლა ჩასვეს და სწავლა განახლდა.

აქაურები უჩივიან სამკითხველოს. სამკითხველოში „მოსკოვსკია ვედომოსტი“-სა, „ნოვოე ვრემია“-სა და „გრაჟდანინ“-ის მეტს ვერას ნახავთ.

ტეზერი (გორის მაზრა). ამ განკითხვისა და განსამართლების დღეს ყველამ თავისი დარდი გამოსთქვა. ყველა დღეს ცდილობს იპოვოს ის, რასაც დღემდე ამაოდ ეძებდა...

აქეთ [illegible] არ არის. მართალია, იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა: ბეჟმის მღვდლის 80 თუმნად ღირებული წისქვილი დაუწვეს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ეს გადაწყვეტილად მტრობის ბრალი არ იყოს.

ქვემოხეთიც ახლოა ბეკამის და ტეზერზე და აქაც მოძრაობა იმდენად არის გაძლიერებული, როგორც სხვა დიდ სოფლებში. მამასახლისი აღარც აქ ჰყავთ. სკოლა დაუკეტიათ. მღვდლისთვის გამოუცხადებიათ, წელს ღალას აღარ მოგცემთო. მემამულეთა და გლეხთა შორის უთანხმოებაა. ტყეების წაკიდებასა და გადაწვას გლეხნი ერთობ ერიდებიან. სამაგიეროდ, მემამულეებს ბოიკოტს უცხადებენ. ერთმა თავადმა შემომჩივლა: ბიჭი აღარა მყავს და აღარც პურის მცხობელიო. ამ დღეებში პურის გამოცხობა მინდოდა, მაგრამ დედაკაცი ვერ ვიშოვე. მერე ერთმა აზნაურმა ცოლმა იკისრა პურის გამოცხობა, მაგრამ, ვაი იმ გამოცხობას: პური სულ გამოფუჭდაო.

ამას წინად მთელს ქვეყანას მოედო ერთი ამბავი: ქვემოხეთის მახლობლად სოფელ ტაშისკარში განძიელს სახლ-კარი გადაუწვესო. ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა. განძიელი დღესაც სახლში არ არის, მაგრამ მის კარ-მიდამოს არავინ მიკარებია.

რ—ბ—ლი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

„ივერიის“ № 43-ში, რომელშიაც დაბეჭდილია ტფილისის თავად აზნაურთა საგანგებო კრების ანგარიში, სხვათა შორის არის ნათქვამი:

„მ. ვ. მაჩაბელი თავის გრძელ სიტყვაში ამტკიცებს, რომ ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება რუსის ხალხის სურვილსა. ჩვენ და რუსის ხალხი ერთად ვიტანჯებოდით, ერთს ტაფაში ვიწოდით და ეხლა, როცა მოგვეცა ჩვენ ამის ამაღლების ნება, ეხლა ჩვენ რუსის ხალხს ვეუბნებით: თქვენთან არავითარი ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის. ამას რუსის ხალხი არ მოგვიწონებს“.

გასაოცარია სწორედ, რად საჭიროა ანგარიშის შემთხზველმა ჩემი, აზრის გადასხვაფერება!.. მე, როგორც წარმომადგენელმა ჩვენის საზოგადოების ერთის ჯგუფისა, გამოვთქვი შემდეგი აზრი:

ჩვენს საზოგადოებაში ორი ჯგუფია, რომელნიც ერთსა და იმავე დედა აზრს ეტრფიან: ყველა დიდის იმედით შესცქერის მომავალს და მოწადინებულია თავგანწირულის ბრძოლით მოუპოვოს სამშობლოს ახალი წეს-წყობილება, ახალი ცხოვრება. როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფი, სავსებით ეთანხმება რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოების მისწრაფებას და ელტვის თავისუფლებას პიროვნებისას, ენისას, სიტყვისას, სარწმუნოებისას, ორგანიზაციებისას და ყველა იმას, რასაც მოითხოვს პროგრესიული ნაწილი რუსის საზოგადოებისა.

ყველასა სურს, რომ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, რომელიც შესდგება რუსეთის ყოველ ერის წარმომადგენელთა ამორჩევით საყოველთაო, პირის-პირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორი კენჭის ყრით. ყველა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ კრებას შეუძლიან დაამყაროს თავისუფლება და სამართლიანი წეს-წყობილება მთელის იმპერიისა; მხოლოდ მაშინ მიეცემა ყოველ რუსეთის ერს და ყოველ კუთხეს თავისუფალი და სასურველი თვითმართველობა. ამისთვის საჭიროა დიდი ბრძოლა. ბიუროკრატია ადვილად არ დაუთმობს ერს თავის ალაგს და ყოველნაირ ღონისძიებას მიიღებს, რათა ხელ-უხლებლად შეირჩინოს ბატონობა.

ჩვენ ქართველები ას წელიწადზე მეტია, რაც ვეფიცებით ერთგულებას ხელმწიფეს და რუსეთის ერის ერთობას. ბიუროკრატიისათვის არავითარი ფიცი არ მიგვიცია, იმ ბიუროკრატიისათვის, რომელმაც ამართა მეფის და ხალხის შუა მაგარი კედელი. ეს უშველებელი კედელი ჩვენ უნდა დავანგრიოთ და ხალხს ხელმწიფე დავუახლოვოთ. განა ამას ბრძოლა არ ეჭირვება? ვინ არის ჩვენგანი, რომელიც სასტიკ ბრძოლას უარჰყოფს?

დიადი საქმე რუსეთის დიდებულმა ერმა იკისრა და ჩვენმა ერმა ამ მოძრაობას ბანი მისცა. ჩემის აზრით თავად-აზნაურობამ დღეს მხოლოდ ჩვენს ხალხს ხელი უნდა მისცეს ძმურად, და იგივე მხარი უნდა მისცეს საერთო შრომით რუსეთის დაწინაურებულ ნაწილსაც. თავად-აზნაურობას, როგორც კერძო წოდებას, ნება არა აქვს საქართველოს ხალხის მაგიერ ითხოვოს ის, რაც ჯერ ჩვენ ხალხს არ უთხოვნია; ნება არა გვაქვს ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად ვითხოვოთ ავტონომია. ასეთი მძიმე საკითხის გადაწყვეტა თავად-აზნაურობას არ შეუძლიან; ნება არა აქვს და არც ძალა შესწევს. თავად-აზნაურობა, მართალია, ღვიძლი მოძმეა საქართველოს ხალხისა, მაგრამ დღეს მოძმეთა შორის ისეთი ბრძოლაა ატეხილი, რომ უბრალო ზრდილობაც კი მოითხოვს, არ შევეხოთ ხალხის წმიდათა—წმიდას, არ შევბღალოთ ხალხის უფლება. როდესაც ხალხი, განურჩევლად წოდებისა, ამოირჩევს თავის წარმომადგენელთ ზემოხსენებულის წესით, მაშინ ამ საქართველოს წარმომადგენელთ ნება ექნებათ ერის სურვილი წარუდგინონ დამფუძნებელ კრებას და ჩვენ ყველანი მოვალენი ვიქნებით მივემხროთ ხალხს.

მეორე ჯგუფი სულ სხვა აზრისაა და ურჩევს თავად-აზნაურობას დღესვე სთხოვოს ხელმწიფეს ავტონომია. მერე რა ძალას წარმოადგენს დღეს თავად-აზნაურობა; ვის აკისრებენ ამისთანა მძიმე ტვირთს? დღეს ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობამ თავის მოძმეს თავად-აზნაურობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და თავის მოძმედ აღარა სთვლის. ასის წლის დამონავებულმა ბიუროკრატიულის წეს-წყობილებით ხალხმა, დაბეჩავებულმა, უმიწაწყლომ, გაუნათლებელმა გამოიღვიძა და ხმა ამოიღო, მაგრამ საუბედუროდ ვერ არჩევს მტერს და მოყვარეს, ძმას და უცხოს და მიმართა ველურ ღონის-ძიებას: დაიწყო სახლ-კარის წვა და ძარცვა თავად აზნაურთა ქონებისა. მე სულაც იმას არ ვამტკიცებ, რომ თავად-აზნაურობის ერის წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღოდეს; მე მხოლოდ იმ აზრისა ვარ, რომ დღეს მებრძოლთა და მოძმეთა შორის მტრობა უნდა მოისპოს. ყოველ ოჯახში შესაძლოა უთანხმოება მოხდეს, მაგრამ როდესაც საერთო საერო საქმე უნდა გადაწყდეს, მაშინ მოძმეთა შორის მტრობა მუხანათობას უდრის.

ამ არეულ დროს, რა ნება აქვს თავად-აზნაურობას თავისი თავი ხალხის წარმომადგენლად ჩასთვალოს და ხალხის მაგიერ ავტონომია მოითხოვოს. ჩვენი მტერი ადვილად ჩააგონებს ხალხს, რომ მაგ ავტონომიით თავად-აზნაურობას ბატონ-ყმობის წეს-წყობილების დაბრუნება სურსო. მოძმეთა ბრძოლა უფრო გამწვავდება და ერის ძალღონე შესუსტდება. უნდა ცოტა მოვითმინოთ, ხალხს დავუახლოვდეთ, დავეკითხოთ ხალხის წარმომადგენელთ.

გარდა ამისა, ჩვენ არ გვაპატიებს ამისთანა საქციელს რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილი, რომლის წყალობით ასეთი მამაცნი შევიქენით. მხოლოდ რუსეთის ერის ძლიერმა ხმამ ჩვენც ხმა ამოგვაღებინა, და თქვენ ეხლა რუსეთის საუკეთესო ნაწილს ეუბნებით: თქვენთან არავითარი ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვისო, ჩვენ ჩვენთვისო: ჩვენ ავტონომისტები ვართო. ვინ ჩვენ? აი, ამ მაგიდაზე მდგომნი? არა, ბატონებო, თქვენ ვერ გამოგყვებით, თუ თქვენ მაგიერ მაგ ალაგას ქართველი ხალხის წარმომადგენელნი არ იქნებიან, ამორჩეულნი განურჩევლად წოდებისა. მხოლოდ იმათ შეუძლიანთ გამოაცხადონ ერის სურვილი, მოითხოვონ ავტონომიაც.

აი, ჩემი აზრი, ბ. რედაქტორო, რომელსაც საქვეყნოდ ვაღიარებ: არც შთამომავლობისა მეშინიან და არც იმ ვაჟ ბატონებისა, რომელნიც სიტყვის თავისუფლებას იარაღად ხმარობენ, რომ მოძმეს ცილი დასწამონ.

ამასთანავე ვალად ვრაცხ ვაღიარო, რომ ის 4 შავი კენჭი, რომელთა შორის ჩემი კენჭიც ერია, ეკუთვნოდა იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც სწორედ ზემოხსენებულ აზრს ემხრობიან.

მ. ვ. მაჩაბელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 აპრილი.

პეტერბურგი. 5 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ცარსკოე სელოში პირველი აღმოსავლეთ-ციმბირის განსაკუთრებული სატელეგრაფო როტა, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთს მიდის.

ამოი, 5 აპრილი. მეზღვაურები ფიქრობენ, ბალტიის ესკადრა ფორმოზის აღმოსავლეთად არისო. ამბობენ, რუსების კრეისერმა 3 აპრილს, საღამოს, კილუნს გაუარა, ფორმოზას ჩრდილო ნაპირსო, ხოლო ნამდვილად არ იციან.

ტოკიო. „კოკუმინის“ სიტყვით, როჟესტვენსკი სანეიტრალო პორტში იმალება და მოპირდაპირე ეჭვში შეჰყავს, მზად არის საბრძოლველად თუ არა. საფიქრებელია, ვლადივოსტოკისაკენ წასვლას ეცდება ისე, რომ ტოგოს არ შეხვდეს.

ჯიბუტი. სანდო წყაროდან იუწყებიან, რუსეთის უმთავრეს ესკადრის რამდენიმე გემი მესამე ბალტიის ესკადრას შეუერთდა სოკოტოს ახლო, ხოლო ეს გემები მეოთხე ბალტიის ესკადრას მოუცდიან, რომელიც ხუთის კვირის შემდეგ მივაო.

შანხაი. ჩინელების ორი ნავი ჩუხანს ახლო ნაღმით დაღუპულა. ნაღმის აღმოჩენამ შანხაის სამხრეთად მღელვარება გამოიწვია, რადგან ევროპიელთა გემებისთვისაც საშიშიაო.

ტოკიო. იაპონელების ლაშქარი მანჯურიაში კვლავად წინ მიდის. იუწყებიან, ხარბინში სურსათი ძალიან ნაკლებად არისო. ფქვილი არ იშოვება. ძალიან გაჭირვებაში არიან. ეს იმის ბრალია, რომ უმთავრესი საწყობები რუსებს მუკდენში ჰქონიათ.

ზანჟულინი (საკუთ. კორესპ.). საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა. წვიმა მოდის, რომელმაც კარგი გზები სულ წუმპედ აქცია. მოლოდინი მხნეობას არ უკარგავს.

ტოკიო. დარწმუნებით ამბობენ, იაპონია ახალ სესხს 7 აპრილს გამოსცემსო.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 5 აპრილისა: 1 აპრილს დილით მტერი წინ წამოვიდა ხეიშიმაზე და სინმინპუ-დაშიხეძის გზით. დილის 5 საათზე იაპონელებმა პადიაძი დაიჭირეს და ჩვენს ცხენოსნებს, რომელთაც უღელტეხილი ეჭირათ, სროლა დაუწყეს. შემდეგ იაპონელები შეაჩერეს. 1 აპრილს მტერმა სოფელი ნანსანჩენძი დაიჭირა.

პეკინი, 5 აპრილი. იაპონელები აუარებელს გემებს ყიდულობენ, უმთავრესად ავსტრალიაში, რადგანაც ისე აუწიეს ფასს, რომ გემების დაქირავება შეუძლებელი გახდა. დასაზღვევი პრემიები ყოველ დღე მატულობს. ზოგიერთ ადგილებისთვის პრემია გაასამკეცეს.

პარიზი, 5 აპრილი. პრესსაში გამობეჭდილია ფინანსთა მინისტრის შვანებახის წერილი, რომელიც ინგლისურ გაზეთ „ტაიმს“-ში იყო დაბეჭდილი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ომმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონია და სრულიადაც ვერ შეაფერხა რუსეთის ფინანსების საუცხოვო მდგომარეობა და ფულის აღებ-მიცემობაო.

ტოკიო, 5 აპრილი. ჰგონებენ, რომ რუსებს ჩანჩუნ-გირინის გასწვრივ და იმის სამხრეთად 200,000-მდე ჯარი ჰყავთ დაბანაკებულიო.

საიგონი, 5 აპრილი. მტკიცდება, რომ უყიდნიათ სხვადასხვა ნუზლ-სანოვაგე ზოგიერთ ფირმებისაგან და ინტაის ნაპირებთან [illegible] ბარჟებით რუსეთის ესკადრისათვის.

სინგაპური, 6 აპრილი. სარწმუნო წყაროებიდან მტკიცდება, რუსეთის აგენტებს, ალბად, ისე უჩვენებიათ თავი, ვითომ ფრანგები ვართო, და გადაუჭრიათ ზღვაში გაყვანილი ტელეგრაფის მავთულები კუჩეუ-ტამსუი-ფორმოზას შორის.

მანილა, 6 აპრილი. („დეილი მეილი“). დილით იაპონიის 16 კრეისერი და კონტრ-ნაღმოსნები სამბალეკის კონცხიდან დასავლეთად გაეიდნენ. ამბობენ, რუსთა 8 სანახშირე გემი შაბათს აქეთ ლინგანის ნავთსადგურში იმყოფებაო, ამერიკელები კიდევა ჰგზავნიან გემებს ბაზილანის სრუტის სადარაჯოდ.

ჰონგონგი, 6 აპრ. („დეილი მეილი“). ბრიტანიის გემი „აიზელვორსი“ 1 აპრილს საავადმყოფო გემ „ორიოლი“-ის გვერდით იდგა. როდესაც 2 აპრილს „ორიოლი“ გამოვიდა კამრანის ნავთსადგურში წამოსასვლელად, ბრიტანიის გემს, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, ნება მისცეს გზის განგრძობისა.

ლაბუანი, 6 აპრილი (რეიტერი). ამერიკის კონტრ-ნაღმოსნები „ჩოკსე“ და „ბარრი“ დილით წავიდნენ, რომ შეუერთდნენ კრეისერ „რალლეი“-ს და ფილიპინის სამხრეთით იდარაჯონ.

მანილა, 6 აპრილი (რეიტერი). დილის 4 საათზე მანილის სამხრეთით, ვატანგასთან, დაინახეს 3 სამხედრო გემი, ხოლო ვისი იყო, არ იციან.

რიგა, 6 აპრილი. გუშინ საღამოს მიტავის მიდამოებში სამმა უცნობმა მძიმედ დასჭრა ქუჩაში ქარხნის ხელოსანი ჰვესარი. მსროლელები მიიმალნენ.—გუშინ ბაზარსა და საცხობებში პური არ იშოვებოდა. ფასებმა ძალიან აიწია.

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის საბჭომ 5 აპრილს შესაძლოდ დაინახა გამოაკლდეს საცენზურო დებულებას მე-4 და 93—113 მუხლები, რომლებიც წინად განხილვის ცენზურას შეეხება. საჭიროდ დაინახა ამას შემდეგ, სადაც კი წინად განხილვის ცენზურა დარჩება, ახლადშედგენილი სისხლის სამართლის ახალ კანონით ბეჭვდის შესახებ. დაცულია 138 და 139 მუხლები საპასუხო წერილების დაბეჭდვის შესახებ.

პეტერბურგი. იმ უწესობის გამო, რომელიც მოხდა ნათლიღების ზარბაზნის სროლის დროს, გვარდიის მთავარ-სარდალი უკმაყოფილებას უცხადებს გვარდიის კორპუსის კომანდირს თ-დ ვასილჩიკოვს, საყვედურს—გვარდიის კორპუსის არტილერიის უფროსს გენერალ ხიტროვოს და ცხენის არტილერიის ბრიგადის კომანდირს თ-დ მასალსკის, დაპატიმრებას კრთის თვით—გვარდიის პირველ დივიზიონის უფროსს, პოლკოვნიკ გასპარინის.

ლონდონი, 5 აპრილი. ცნობილ მოგზაურ სვენ ხედინის წერილში, რომელიც „ტაიმს“-ში დაიბეჭდა, შიშია გამოთქმული შვეცია-ნორვეგიის კავშირის (უნიის) დარღვევის თაობაზე. მის სიტყვით, მაშინ რუსეთი მოინდომებს ხელთ იგდოს ნორვეგიის ჩრდილოეთის ნავთსადგურები, რომ ამით გზა გაიკვლიოს ატლანტის ოკეანისკენ. ამ კავშირის ხელუხლებლად დაცვა მარტო სკანდინავიისათვის კი არაა ხეირიანი, არამედ მთელის ევროპისათვისაცაო.

პარიზი, 5 აპრილი. პალატაში რუვიემ სიტყვა წარმოსთქვა და პროტესტი განაცხადა იმ ბრალდებაზე, ვითომც ლიონში ჯარები მექარხნეების განკარგულებაში ყოფილიყვნენ. რუვიე ამტკიცებდა, ჯარები მხოლოდ მაშინ მიიშველიეს, როცა საპყრობილეს ემუქრებოდნენო, ხოლო სროლა მაშინ დაიწყეს, როდესაც ბრბომ ჯარს ქვებისა და ჯოხების სროლა დაუწყოო. ჯარებმა ბრძანების მიუღებლად ისროლეს. მოქალაქეთა უპირველესი მოვალეობაა—წესრიგი არ დაარღვიონ. კრების დასასრულ პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას და იმედი გამოსთქვა, რომ იგი იზრუნებს ხალხის დასამშვიდებლად და ინციდენტის მოსასპობად. ეს ფორმულა მიღებულ იქმნა 422 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 58-სა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 1 აპრილი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,72½
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅛
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298½ „
5% გირ. ფურც. სახ. სააღ.-მამ. ბანკ.	268½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 05 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი შ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელდქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 7 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5